

**ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲣᲑᲐᲠᲘᲔᲠᲝ ᲡᲘᲡᲒᲔᲛᲐ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ** ᲒᲐᲓᲐᲒᲓᲔᲑᲐ **90-**ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ'




15 ᲐᲒᲕᲘᲡᲒᲝᲓᲐᲜ ალექსანდრე იასაღაშვილი ქართული დეტექტივი

ფასი: 50 თეთრი

სამშაბათი, 15 აგვისტო, 2017

## ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ **ᲒᲐᲐᲛ**ᲥᲦᲐᲕᲜᲐ"


№192 (7427)






9767773263936 **ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲨᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲒᲠᲡ** 

**ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ: "ᲯᲔᲯᲔᲚᲐᲕᲐ ՊՆՅՐ ՇԴՐ**℞ՍԸՍՐ 60000









"არქიტექტურის ზონალური საბჭო კომუნისტურად იმართება"









97933391 MFCPC9 18t3C6 "ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ" ୯ᲠᲝᲔᲑᲘᲗ **ՍՆ**գրչբեն **6**433%L




**.ᲡᲐᲐᲠᲩᲔ**ᲕᲜᲝ **ԻՍԻ**ԹՅՅՈՒ **ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ** გაუქმეგა ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ՆԵԿՐՆՆ

3749769 49767993:



บงฮฃงᲚฃᲑทเ しりりょういっしょう **ᲒᲐᲠᲐᲜ**ᲒᲘᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ"

პ**Რ**ᲐᲜᲙᲔᲠᲔᲑᲘᲡ







## ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ **ᲒᲐᲐᲛ**ᲥᲦᲐᲕᲜᲐ"

შორენა მარსაგიშვილი

"საქართველო საერთაშორისო სკანდალში გაეხვია"

12 აგვისტოს საიტზე სტრანა.უა-ზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსმა პრანკერმა ლექსუსმა (ალექსეი სტოლიაროვმა) უკრაინის ซึกธิงลงธิ บงปู่อิกูตั้ง อิกธิกับสู้คักบั้, งศ์ปฏิธิ ავაკოვის სახელით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს გიორგი მღებრიშვილს დაურეკა.

როგორც პრანკერმა ქართულ მედიას განუცხადა, ის მღებრიშვილს სააკაშვილის ექსტრადირებაზე ესაუბრა, თუმცა მინისტრმა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის საქართველოში გადმოყვანაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ საქართველოს ის არ სჭირდება. როგორც პრანკერი ყვება, მღებრიშვილმა სააკაშვილს ავანტურისტი უწოდა და უთხრა, რომ ჯობია, ის ბომჟი იყოს, ვიდრე საქართველოში ციხეში იჯდეს . გავრცელებული ჩანაწერის მიხედვით, ქართულ მხარეს არ სურს სააკაშვილის გმირად ქცევა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურმა აღნიშნული სატელეფონო საუბარი უარყო. უწყების განმარტებით, არასერიოზულია იმის დაშვება, რომ ორივე ქვეყნის შს მინისტრები სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან თემებს განიხილავენ არადაცული სატელეფონო კავშირის მეშვეობით.

უწყობენ თუ არა გიორგი მღებრიშვილს პროვოკაციას, რა საერთაშორისო სკანდალში გაეხვია საქართველო, რატომ უთვალთვალებდნენ პოლონელ დეპუტატს, არის თუ არა ქვეყანაში საიდუმლო ინფორმაციები დაცული? – ამ თემებზე "ახალ თაობას" სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი **ზვიად კუპრავა** ესაუბრება

– შინაგან საქმეთა მინისტრი კიდევ ერთ სკანდალში გაეხვია. ამ დღეებში გავრცელებული საუპრის აუდიო-ჩანაწერს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ვრცელდება სხვადასხვა ვერსიებიც. ერთ-ერთი ვერსიით, ეს ყველაფერი მლებრიშვილს ხელისუფლების ერთ-ერთმა განშტო-ებამ გაუჩალიჩა. ამასთან დაკავშირებით რას

– ხელისუფლების შიგნით რომ ყველაფერი დალაგებული არ არის, ეს ცხადია, მაგრამ არა მგონია, აქ საქმე გაჩალიჩებასთან გვქონდეს. ის ბიჭები, რომლებმაც ეს ჩანაწერი გააკეთეს, ცნობილი სატელეფონო ხულიგნები არიან. გიორგი მღებრიშვილი არ არის მათი პირველი მსხვერპლი. ისინი სხვადასხვა ქვეყანაში მაღალი თანამდებობის პირებს ურეკავენ და აშარჟებენ. მათაც ატყუებენ, თითქოს სხვა ქვეყნების მაღალი თანამდებობის პირები არიან. ზოგიერთი მათგანისთვის საიდუმლო ინფორმაციის დატყუებასაც ახერხებენ.

– ამ სატელეფონო ხულიგნებმა საიდან გაიგეს ჩვენი შს მინისტრის ნომერი, იქნება სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლებმა მისცეს მათ ეს ნომერი?

- შს მინისტრის პირადი ნომრის გაგება იოლი არ არის. ამის მიუხედავად, მაინც არა მგონია, რომ ეს ამბავი აქ დაიგეგმა. ისე, ფაქტია, რომ დაგეგმილია და საკმაოდ კარგადაც არის განხორციელებული ეს გეგმა.

ამ ჩანაწერით პირდაპირ გამოჩნდა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურების სისუსტე. ასევე გამოჩნდა შს მინისტრის სისუსტეც, რომელიც ისე საუბრობდა ყველაფერზე, რომ არც კი გადაამოწმა, მართლა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრს ელაპარაკებოდა თუ არა.

ซูงปู่ดูกง ก็บกผู้, ศัพชิ กบ ปังๆชี้ศัพชั้ญง ตุกง ქსელით და არ იყენებდა სამთავრობო ქსელებს. შსს-ს ჰყავს ოტო-ს სამსახური, რომელიც მოსმენებზე, ჩაწერებზე მუშაობს და შიფრავს სატელეფონო ზარებს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოტოს

სამსახური ჩავარდა. სატელეფონო ზარი განხორციელდა საზღვარგარეთიდან, ის ადამიანი, ვინც რეკავს, ამბობს, რომ მე ვარ უკრაინის შს მინისტრი. ამ ზარზე ინფორმაცია არ გადაამოწმეს და ჩვენ



ვხედავთ, რომ შს სამინისტროდან იქეთ განხორციელდა ზარი, ვითომ ავაკოვთან. როგორც ჩანს, მღებრიშვილმა, სანამ იქეთ გადარეკავდა, პრემიერთან გაიარა კონსულტაციები.

ესეც უკრაინასთან დიპლომატიური სისუსტის მანიშნებელია – შსს-ში არც ერთმა სამსახურმა არ იცის პარტნიორი ქვეყნის შს მინისტრის ტელეფონის ნომერი.

ცალკე უბედურებაა თავად საუბრის შინაარსი. სხვადასხვა ქვეყნების მაღალი თანამდებობის პირები ერთმანეთს ასეთ თემებზე არ ესაუბრებიან ხოლმე. მღებრიშვილი იდეაში ავაკოვს ესაუბრებოდა და ამ დროს რამდენიმე საიდუმლო ინფორმაცია იქნა გათქმული. გაჟღერდა საქართველოს და უკრაინის პირველი პირების დავოსში გამართული შეხვედრის საიდუმლო დეტალები.

რა შეგვიძლია ამაზე ვთქვათ, შს მინისტრი არის დაუცველი, რომელმაც საიდუმლო ინფორმაციის შენახვა ვერ უზრუნველყო.

მართლა შემეცოდა ჩემი ქვეყანა, დღეს საქართველოს თავდაცვისუნარიანობა ნულზეა დასული. ორმა სატელეფონო ხულიგანმა შს მინისტრს ყველა ის ინფორმაცია დასცინცლა, რისი გაგებაც სურდათ.

ორმა ხულიგანმა თუ ამდენი მოახერხა, ხომ წარმოგიდგენიათ, რას გააკეთებენ სხვა ქვეყნების სპეცსამსახურები, რომლებსაც მეტი ბერკეტები, მეტი წვდომა და მეტი გამოცდილება აქვთ. ჩვენი მთავარი მტერი არის რუსეთი და აქ ყველაზე აქტიურად ამ ქვეყნის სპეცსამსახურები მუშაობენ. წარმომიდგენია, რა იოლად ახერხებენ ისინი საიდუმლო ინფორმაციების

– თქვენ თქვით, რომ ამ საუბრისას მოხდა საიდუმლო ინფორმაციების გაჟღერება. რა ინ-ფორმაცია გაქვთ მხედველობაში?

– როგორც უკვე გითხარით, არ შეიძლებოდა საქართველოს და უკრაინის პირველი პირის შეხვედრის დეტალებზე საუბარი. ეს პირდაპირ დანაშაულია. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი პირველი პირის ინტერესები და არ უნდა გავაჟღეროთ, რა დეტალებზე ესაუბრა ის მეორე ქვეყნის პირველ პირს.

მღებრიშვილს უნდა ეფიქრა, რომ თუ ავაკოვმა არ იცოდა, რაზე მოილაპარაკეს პოროშენკომ და კვირიკაშვილმა, ე.ი. საჭიროდ არ ჩათვალეს მისი ინფორმირება. ჩვენმა მინისტრმა ვითომ ავაკოვს ლამის პატაკი ჩააბარა, ყველაფერი მოუყვა, რაც მას აინტერესებდა.

– ვითომ ავაკოვი ასეთ კითხვებს რომ სვამდა, ეჭვი არ უნდა გასჩენოდა მღებრი შვილს, თუ რა თქმა უნდა, მართლა ის საუბრობდა?

-გიორგი მღებრიშვილი წლების განმავლობაში მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა და რაღაც გამოცდილება წესით უნდა ჰქონდეს. ვითომ ავაკოვი ისეთ კითხვებს სვამს, რასაც ეჭვი უნდა გამოეწვია. ეს საუბარი მაშინ შედგა, როცა მიხეილ სააკაშვილი პოლონეთში იმყოფებოდა და ეს ყველამ იცოდა. ვითომ ავაკოვმა კი ეს არ

იცოდა. როცა სააკაშვილის ადგილსამყოფელზე დასვა კითხვა, მაშინ უნდა გასჩენოდა მღებრიშვილს ეჭვი, რომ ის შს მინისტრს არ ესაუბრებოდა.

ამ საუბრისას ერთი საინტერესო დეტალიც გამოიკვეთა. მღებრიშვილი საუბრობს იმაზე, თუ რა შეხვედრები გამართა სააკაშვილმა პოლონეთში. საუბრობს იმაზე, სად და რომელ ქალბატონს შეხვდა საქართველოს მესამე პრეზიდენტი. მან ისიც იცოდა, რომ იმ რესტორნის მეპატრონეს, სადაც შეხვედრა შედგა, იმ დღეს დაბადების დღე

და რაკი ჩვენი შსს ამ ინფორმაციას ფლობს, გამოდის, რომ მიხეილ სააკაშვილზე ხორციელდება თვალთვალი. რაც ცალკე დანაშაულია, რადგანაც ის აღარ არის საქართველოს მოქალაქე.

– სააკაშვილის წინააღმდეგ საქართველოში საქმეა აღძრული და აქედან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ მას უთვალთვალებენ.

სააკაშვილზე საქმეა აღძრული, მაგრამ ხომ გამოჩნდა, რომ ისინი პოლონეთის მოქალაქესაც უთვალთვალებდნენ. საუბარში მღებრიშვილმა ვერ გაიხსენა პოლონელი ქალბატონის გვარი, რომელიც ამავე დროს პოლონეთის პარ-

ლამენტის წევრია. ამას რითი ახსნიან, რატომ უთვალთვალებდნენ სხვა ქვეყნის პარლამენტის წევრს. ამას შესაძლოა საერთაშორისო სკანდალი მოჰყვეს.

რაც შეეხება სააკაშვილს, თუ იმხელა წვდომა აქვთ, რომ სხვა ქვეყანაში მასზე თვალთვალს ახორციელებენ, მაშინ მოკიდონ ხელი და საქართველოში ჩამოიყვანონ. აუდიო-ჩანანერიდან ირკვევა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამის სურვილი არა

რატომ არ უნდათ სააკაშვილის ექსტრადირება, ამაზე ჩვენმა მინისტრმა თავად ისაუბრა. "ოცნებას" არ სურს, რომ ქვეყანაში სახალხო მღელვარებას ჰქონდეს ადგილი. ისინი კანონის აღსრულებაზე ამბობენ უარს იმიტომ, რომ რაღაც-რაღაცების ეში-

ცალკე საუბბებს შორის დაპირისპირებას აქვს ადგი-

ლი. შს მინისტრი ამბობს, ექსტრადირება არ გვინდაო, იუსტიცია და პროკურატურა ამტკიცებენ, რომ ექსტრადირებას ითხოვენ.

მე არ მჯერა, რომ მათ შორის მართლაც არის დაპირისპირება. შინაურულად მოგვარებული ექნებათ, რომ ხმამაღლა ექსტრადირების აუცილებლობაზე ილაპარაკებენ. სინამდვილეში კი სულ სხვანაირად არის საქმე.

აუცილებლად უნდა მოხდეს იმის გამოძიება, თუ რატომ აფერხებს მღებრიშვილი სააკაშვილის ექსტრადირებას. "ავაკოვი" სთავაზობდა მას სააკაშვილის გადაცემას და ის უარს ამბობდა. მართალია ის ავაკოვი არ ყოფილა, მაგრამ ჩვენმა მინისტრმა ხომ არ იცოდა ამის შესახებ.

ექსტრადირებაზე როცა უარს იძახდა, მხოლოდ საკუთარ პოზიციას კი არ აფიქსირებდა, არამედ პრემიერის სახელითაც ლაპარაკობდა. აღნიშნა, რომ სააკაშვილის ექსტრადირება არც გიორგი კვირიკაშვილს უნდა.

ჩვენმა მინისტრმა "უკრაინელ კოლეგას" ისიც უთხრა, რომ ჩვენმა პირველმა პირმა თქვენ პირველ პირს უთხრა, სააკაშვილი არ გეჭირდებაო. ამ სატელეფონო ხულიგნების წყალობით გამოჩნდა, რომ ""ოცნებას" ბორკილდადებული სააკაშვილისაც კი ეშინია.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალზე გავამახვილებ ყურადღებას. მოგვწონს თუ არა მიხეილ სააკაშვილი, ის იყო საქართველოს მესამე

პრეზიდენტი. პრეზიდენტი ქვეყნის ისეთივე სიმ-ბოლოა, როგორც დროშა, ჰიმნი, გერბი. ძალიან ულამაზოდ გამოუვიდა შს მინისტრს, როცა სხვა ქვეყნის წარმომადგენელთან მას უცენზურო სიტყვებით მოიხსენიებდა.

– თქვენი აზრით, ამ ამბავს რა გაგრძელება მოჰყვება. ჩაატარებს შსს გამოძიებას?

შსს-მ და მისმა პირველმა პირმა ყველაზე კარგად იციან, რომ მართლაც შედგა ეს სატელეფონო საუბარი. წესით, გიორგი მღებრიშვილმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს განცხადება თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. თავად ამის გაკეთებაზე თუ უარს იტყვის, მაშინ პრემიერმა უნდა გაათავისუფლოს ის თანამდებობიდან. აშკარაა, რომ მან კვირიკაშვილთან გაიარა კონ-

მართლა მაინტერესებს, რას მიკეთებდა უშიშროების სამსახური, რომელიც მინისტრთან ყველა შემავალ ზარს უნდა აკონტროლებდეს. მით უმეტეს, თუ ზარი უცხო ქვეყნიდან შემოდის. უნდა დადგინდეს, მართლა იმ ქვეყნის მთავრობის კაბინეტის წარმომადგენელი რეკავს თუ არა. სახელმწიფოს ათასი მტერი ჰყავს და ასეთი ზარები უნდა გადამოწმდეს. ამას ძალიან ცოტა დრო სჭირდება.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყველა ქვეყანას აქვს თავისი სატელეფონო კოდი. ამხელა შსს თუ იმას ვერ ადგენს, ზარი უკრაინიდან



### რის თემაა, რომ უწყე- გადააყენებენ თუ არა შს მინისტრს

შემოდის თუ რუსეთიდან, კარგად ყოფილა ქვეყ-

ამასთან, ყველა ახალ ტელეფონზე იწერება, თუ რომელი ქვეყნიდან შემოდის ზარი. ვერავინ დამაჯერებს, რომ მინისტრს ფარნიანი ნოკია აქვს და ამიტომ არ დაფიქსირდა ქვეყანა.

არ გამოვრიცხავ, რომ ამ სატელეფონო ხულიგნებს სხვა მინისტრებთანაც ჰქონდეთ დარეკილი. შესაძლოა, მთელი მთავრობა ჰყავდეთ აგდებული. ახლო მომავალში შესაძლოა ინტერნეტში სხვა საუბრის ჩანაწერებიც გამოჩნდეს.

შსს ამბობს, რომ მინისტრს ასეთი საუბარი არ ჰქონია. ეს თუ ასეა, მაშინ აქამდე ეს ჩანაწერი მინიმუმ 5-6 ქვეყანაში უნდა იყოს გადაგზავნილი ექსპერტიზაზე. ყველა კითხვის ნიშანი უნდა მოიხსნას. ამ საუბრის შემდეგ, საქართველო საერთაშორისო სკანდალში აღმოჩნდა გახვეული – აღმოჩნდა, რომ პოლონელი დეპუტატის თვალთვალი ხორციეჺ

– გადაიყოლებს ეს ამბავი მლებრიშვილს? – არა მგონია. არჩევნების წინ არ გადააყენებენ. ეს პირდაპირ აღიარება იქნება. თუმცა არაფერს არ გამოვრიცხავ. ამ ჩანაწერთან დაკავშირებით ნაციონალურმა მოძრაობამ უკვე მოითხოვა ექსპერტიზის ჩატარება. ისინი ჩანაწერის საზღვარგარეთ გაგზავნას აპირებენ. პასუხის მოსვლის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება ძა-

ლიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება.

abacu 

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი **რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი **რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები** ლთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55 **გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი დირექტორი – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თპილისი, ჩუბინაშვილის ქ. N20, მე-3 სართული. ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91

ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცზადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



## 

3

ნათია ხურცილავა

"შენების მოძრაობის" წევრი, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე **ვახტანგ ხმალაძე** "ახალ თაობასთან" ინტერვიუში საარჩევნო სისტემებსა და არჩევნების საარჩევნო ბარიერის გარეშე ჩატარების იდეაზე საუბრობს.

- ბატონო ვახტანგ, არ არის გამორიცხული, რომ ოპოზიციასთან შეთანხმების შემთხვე- ვაში, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ერთჯერადად საარჩევნო ბარიერის გარეშე ჩატარდეს. რას ნიშნავს ბუნებრივი ბარიერით, ყოველგვარი ზღურბლის გარეშე არჩევნების ჩატარება?

— როდესაც საარჩევნო ზღურბლი დაწესებული არ არის, ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ
პარტიას მანდატი შეხვდება თუ ის ერთი მანდატის მისაღებად საკმარის ხმებს მაინც დააგროვებს. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, პროპორციული სისტემით აირჩევა 77 დეპუტატი, შესაბამისად, ბუნებრივი ზღურბლი
არის ერთი მანდატის წონა, ანუ 1,3%, ე.ი.
საკმარისია, პარტიამ ხმების 1,3% მიილოს, რომ
მას ერთი მანდატი შეხვდება ორჯერ მეტს თუ
მიიღებს, ორი მანდატი შეხვდება და ა.შ. ეს არის
სწორედ ბუნებრივი ზღურბლი.

- არსებული საარჩევნო სისტემის დატოვების შემთხვევაში, ვგულისხმობ შერეულ სისტემას, ბარიერის არარსებობას რა მნიშვნელობა აქის?

– მთავარი პრობლემა მაინც არის შერეული საარჩევნო სისტემა, როდესაც **73** დეპუტატი

მაჟორიტარული წესით აირჩევა, ხოლი 77 დეპუტატი – პროპორციული სისტემით. მაჟორიტარულ არჩევნებში მანდატების ლომის წილი მმართველ პარტიას მიაქვს. ბოლო საპარლამენტო არჩევნებში პრაქტიკულად ეს იყო 100%. 73 მაჟორიტარული ოლქიდან 71 მანდატი მმართველმა პარტიამ მიიღო, ერთი მანდატი დამოუკიდებელმა დეპუტატმა სალომე ზურაბიშვილმა, რომელსაც მმართველმა პარტიამ კონკურენტი არ დაუყენა და მეორე მანდატი მიიღო "მრეწველების" კანდიდატმა ხაშურში, რომელიც ამჟამად საპარლამენტო უმრავლესობის წევრია. ამიტომ ვამბობ, რომ პრაქტიკულად მაჟორიტარული მანდატების ასივე პროცენტი მმართველმა პარტიამ წაიღო.

ეს არის პრობლემური. თუ ეს პრობლემა პრობლემად რჩება, მაშინ გამოდის, რომ ამ ბუნებრივი ზღურბლის შემოღებას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს,

რადგან მაღალი ალბათობით კვლავ ამ 73 მანდატიდან ლომის წილს "ქართული ოცნება" წაიღებს. თუ რევოლუციური გარემო შეიქმნა, მაშინ ეს შეიძლება ასე არ მოხდეს, მაგრამ მანდატების საკმაოდ დიდ რაოდენობას მაინც მმართველი პარტია აიღებს. ამას დაემატება 77 პროპორციულიდან მიღებული წილი და გარანტირებულად ექნება საპარლამენტო უმრავლესობა. ეს იმ პირობებში, როდესაც მისი მხარდაჭერა არ იქნება 30%-ზე მეტი.

– საარჩევნო ბარიერის გაუქმებით რას ცდილობს ხელისუფლება, ოპოზიციის გულის მოგებას?

— ერთი, ხელისუფლებას არ უნდა შერეული საარჩევნო სისტემის დათმობა. მეორე, საარჩევნო ზღურბლის არსებობის შემთხვევაში, მაგალითად, 5% ზღურბლის შემთხვევაში, მას გადალახავს ორი ან სამი პარტია. მართალია, პირველ ადგილზე გასულ პარტიას მიაქვს მანდატების უმრავლესობა, მაგრამ დანარჩენ პარტიებს მართალია მანდატების მართალია მანდატების მართალი მანდატების მართალი მანდატების მართულ მათგანს მაინც აქვს არცთუ ცოტა — 10-15, ზოგ შემთხვევაში 20 მანდატიც.

ხოლო თუ საარჩევნო ზღურბლი გაუქმდა, მაშინ მანდატების რაოდენობა თითოეულ ამ სუბიექტს ექნება ძალიან ცოტა, შეიძლება ვიღაცას ჰქონდეს ერთი მანდატი, ვიღაცას ორი ან სამი მანდატი. ოპოზიციური ძალები იქნება დაქსაქსული, დაქსაქსულ ძალებთან ბრძოლა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ორ ან სამ პარლამენტში საკმაოდ ძლიერი წარმომადგენლობის მქონე პარტიასთან.

შერეული საარჩევნო სისტემის შენარჩუნება და ზღურბლის გაუქმება ხელს უფრო აძლევს ამ ხელისუფლებას, ვიდრე საარჩევნო ზღურბლის არსებობა.

— საარჩევნო ბარიერის გაუქმება მრავალპარტიული სისტემის განვითარებას შეუწყობს ხელს?

— როგორ გითხრათ, მრავალპარტიულობა არ ნიშნავს, ვინც კი თავის თავს პარტიას უწოდებს, ყველა არის მართლაც პოლიტიკური პარტია. მრავალპარტიულობა ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებობს მდგრადი პარტიული სისტემა, რომელშიც პარტიათა არცთუ მცირე ნანილს აქვს ამ ქვეყნის მოსახლეობის საკმარისად მაღალი მხარდაჭერა. საკმარისად მაღალ მხარდაჭერაში იგულისხმება 3-4%-ზე მეტი მხარდაჭერა ვისაც აქვს. ასეთ პარტიებს გაძლიურებისა და განვითარების რეალური შანსი აქვთ.

ევროპის ქვეყნებში, ჩვეულებრივ, პარლამენტებში ორიდან ხუთამდე პარტიის წარმომადგენელი ხვდება, მეტი არა. ამ ქვეყნებში პარტიების რაოდენობა ძალიან დიდია. ესპანეთში ბოლო არჩევნებში რეგისტრირებული იყო რამდენიმე ათეული პოლიტიკური პარტია, მაგრამ პარლამენტში სულ ორი პარტია გავიდა. ასერომ, მრავალპარტიულობაში არსებითი არის

მდგრადი სისტემის არსებობა, სადაც არსებობს ძლიერი რამდენიმე პარტია, რომლებიც მეტ-ნაკლებ წარმატებას აღწევენ სხვადასხვა არჩევნებში. შეიძლება, ერთმა პარტიამ ერთ არჩევნებში მიიღოს მეტი მანდატი, მეორემ ნაკლები, მაგრამ მეორე არჩევნებში შეიძლება პირიქით მოხდეს, მაგრამ იმ პარტიათა რაოდენობა, ვისაც წარმატების შანსი აქვს, იშვიათად იცვლება.

სწორედ ასეთი ვითარება არის საჭირო, რომ შეიქმნას ჩვენთან მრავალპარტიული სისტემა და განვითარდეს. სამწუხაროდ, საქართველოში ჯერჯერობით მდგრადი პარტიული სისტემა არ არსებობს. ამას ხელს უწყობს მაღალი პროცენტული ზღურბლი, მაგრამ მთლიანად ზღურბლის გაუქმება ძლიერი პარტიული სისტემის ჩამოყალიბებას ხელს ვერ შეუწყობს. გარკვეული ზღურბლი მაინც საჭი

### – დაახლოებით რამდენი უნდა იყოს საარჩევნო ბარიერი?

— 3-4%-ზე მეტი არ უნდა იყოს საარჩევნო ზღურბლი. 1990 წლიდან მოყოლებული, არსებობს მაქსიმუმ 7 პარტია, რომელიც ყველა არჩევნებზე ახერხებდა 3%-იანი ზღურბლის გადალახვას. დანარჩენ პარტიებს კი 1%-ზე ნაკლები ჰქონდათ მიღებული. 1%-დან 3%-მდე შუალედ-ში არავინ არ იყო.

— შევარდნაძის მმართველობის დროს პირველი პარლამენტი საარჩევნო ბარიერის გარეშე იქნა არჩეული, ასეთი გამოცდილება გვაქვს, თუმცა, მაშინ მიზანი იყო პოლიტიკის ქუჩიდან პარლამენტში გადატანა.

— დიახ, თუმცა, მაშინ საარჩევნო სისტემა სხვა იყო. 1992 წლის არჩევნები სწორედ უზლურბლოდ ჩატარდა, ე.წ. ბუნებრივი ბარიერით, მაგრამ მაშინ ნაწილი — 85 დეპუტატი აირჩეოდა მაჟორიტარული წესით, მეორე 150 დეპუტატი — პროპორციული წესით, მაგრამ პროპორციული არჩევნები სხვაგვარი სისტემით იმართებოდა. ყველა ამომრჩეველს სამი პარტია უნდა შეერჩია, რომელსაც ხმას მისცემდა. ვისაც პირველ ად-გილზე დააყენებდა, ის 5 ქულას იღებდა. ვისაც მეორე ნომერს მიანიჭებდა, ის 3 ქულას იღებდა. მესამე კი — 2 ქულას. შემდეგ ყველა პარტიის მიერ მიღებული ქულა ჯამდებოდა და ხმები პროპორციულად ნაწილდებოდა, ზღურბლი არ

– პროცესი მართლაც გადავიდა ქუჩიდან პარლამენტში?

– დიახ, მაგრამ პარლამენტი გამოვიდა ძალიან ჭრელი.



## ᲨᲐᲚᲕᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲣᲑᲐᲠᲘᲔᲠᲝ ᲡᲘᲡᲒᲔᲛᲐ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲦᲐᲒᲦᲔᲑᲐ 90-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ"

"ქართულმა ოცნებამ" 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, შესაძლოა, ერთჯერადად არჩევნების უბარიერო



სისტემა დაუშვას. "ნიუპოსტის" ინფორმაციით, აღნიშნული ვარიანტი იქნება სრულად პროპორციულ სისტემაზე გადას-ვლამდე. მმართველი გუნდი უბარიერო სისტემის შემოღებაზე უკვე მუშაობს.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერის, შალვა ნათელაშვილის განცხადებით, საქართველოში პრობლემა არის არა მაღალი ბარიერი, არამედ არჩევნების მასობრივი ფალსიფიკაცია:

— უბარიერო სისტემა ეს არის საქართველოს გადაგდება 90-იან წლებში, როდესაც ბიძინა ივანი შვილმა იშოვა პირველი მოპარული მილიარდი. ეტყობა, ის დრო ძალიან მოენატრა, ნახევარკაცა პარტიები რომ მოისყიდონ, შექმნან ამით უმრავლესობა, პრაქტიკულად ეს მოდელი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის დემოკრატიის დამკრძალავი კომისია და მისი დაშვება არაფრის ფასად არ შეიძლება, რაც არ უნდა სურდეს ჩვენს ზოგიერთ კოლეგას, აილოს პარლამენტის მანდატი. ჩვენი ქვეყნის პრობლემაა არა ის, რომ ბარიერია მაღალი, არამედ არჩევნების მასობრივი ფალსიფიკაცია, — აცხადებს შალვა ნათელაშვილი.

ნიუპოსტი

### 

რომან გოცირიძე: "მერიის თანამშრომლებს ოჯახის წევრების პერსონალური მონაცემების მიტანას აიძულებენ"

— "ოცნებამ" არჩევნების გაყალბებაზე ზრუნვა უკვე აქედანვე დაიწყო,
— ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრი რომან გოცირიძე ფეისბუქის გვერდზე წერს. მისი ინფორმაციით, მერიის შპს-ების თანამშრომლებს ოჯახის წევრების პერსონალური მონაცემების მიტანას აიძულებენ:
— მირიაში თა მირიის თაძიიმობარიბაში მცოთი სამსახურიბის

– მერიაში და მერიის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების თანამშრომლებს ოჯახის წევრების პირადობის ნომრისა და გვარ-სახელის მიტანას აიძულებენ.

საჯარო მოსამსახურეები არ იკმარეს და მერიის შპს-ებსაც შეესივნენ. მხოლოდ თბილისში არის ასეთი დაახლოებით 50 შპს – დაწყებული სატრანსპორტო მომსახურებით, დამთავრებული დასუფთავებით.

უამრავი ადამიანი რეკავს პარტიაში. ყველას ეშინია საკუთარი ვინაობის გამჟღავნების. ამ წუთას მელაპარაკა ნაცნობი. თუ დამიცავთ, საჯაროდაც ვიტყვიო. არ მივიტანე ოჯახის წევრების მონაცემები და დამემუქრა უფროსი განთავისუფლებითო.



იმ უფროსს ვეუბნები, ნარმანიასაც და ამ საქმის მთავარ ორგანიზატორს, კალაძეს, პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვება ისჯება, არჩევნების გაყალბება მძიმე დანაშაულია. ჰოდა, მოგიწოდებთ, სასწრაფოდ შეწყვიტოთ ეს უმსგავსო კამპანია. დაიმახსოვრეთ – დაისჯებით! – წერს გოცირიძე.

### ᲔᲙᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐ: "ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲛᲔᲦᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ **ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲟᲐᲜᲠᲘᲡᲐᲐ**"

— ეს არის იუმორისტული ჟანრი. მე ამას სერიოზულ კონტექსტში ვერ განვიხილავ, — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ეკა ბესელიამ რუსული და უკრაინული მედიით გავრცელებული ჩანაწერების კომენტირებისას, რომლებშიც თითქოსდა საქართველო შს მინისტრი ფიგურირებს.



მისი შეფასებით, გამოქვეყნებული ჩანაწერი არ არის ის თემა, რომელიც შეიძლება სერიოზული განსჯის საკითხი იყოს.

— ასეთი იუმორისტული შოუს და სკეტჩის ეპიზოდებით შესაძლოა, ნებისმიერი ადამიანი დაკავდეს და, ბუნებრივია, მე არც მის ავთენტურობაზე ვისაუბრებ. ეს არ არის ის თემა, რომელიც შეიძლება სერიოზული პოლიტიკური განსჯის საგანი გახდეს, — განაცხადა ბესელიამ.

### **ᲠᲝᲛᲐᲜ ᲒᲕᲔᲜᲪᲐᲫᲔ ᲒᲐᲠᲦᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ**

72 წლის ასაკში საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი რომან გვენცაძე გარდაიცვალა. გვენცაძე მინისტრის პოსტს 1992 წელს იკავებდა, მანამდეკი შსს-ში რამდენიმე მაღალთანამდებობაზე მუშაობდა.

1990-1992 წლებში რომან გვენცაძე შს მინისტრის მოადგილის პოსტს იკავებდა, 1992 წლის



იანვარში კი მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა და ამ თანამდებობაზე 1992 წლის ნოემბრამდე მუშაობდა. სამართალდამცავ უწყებაში მუშაობის პერიოდში რომან გვენცაძეს რამდენიმე მედალი და ორდენი აქვს მიღებული. როგორც ცნობილია, შს ყოფილი მინისტრი რომან

გვენცაძე ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.



# 379777 % 3707779 "374700" "376776 "376777 "3767 "3767 "3767 "3767

"არქიტექტურის ზონალური საბჭო კომუნისტურად იმართება"

გულიკო ბალაძე

"პატრიოტთა ალიანსის" ერთერთი ლიდერი, უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე აცხადებს, რომ მთელი კორუფციული სქემები აქვს აღმოჩენილი მერიის არქიტექტურის სამსახურის, საკრებულოს ურბანული დაგეგმარების კომისიისა და ურბანული დაგეგმარების საბჭოს მონაწილეობით. ისინი შეთანხმებულად წყვეტენ საკითხებს, რომლებიც შემდეგ საკრებულოს სხდომებზე გადის.

ბულოს სხდომებზე გადის. ერთი ასეთი სხდომა გუშინაც გაიმართა.

— თბილისში ურბანული კუთხით ორი სამსახური არსებობს, არქიტექტურის საქალაქო სამსახური (სსიპი), რომელიც მერიის დაქვემდებარებაშია (მას სანებართვო და ურბანული მიმართულება აქვს) და ურბანისტთა საბჭო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხები სპეციალური ნებართვებისთვის ამ საბჭოზე განსახილველად გადის.

კორუმპირებულია საკრებულოს ურბანული კომისიაც. მის საქმიანო-ბაში ჩართული არიან საკრებულოს ურბანული დაგეგმარების კომისიის წევრები და მერიის ზონალური საბჭოს წევრები. ეს კორუმპირებული სტრუქტურებია და კორუმპირებული ჩინოვნიკებითაა დაკომპლექტებული. თვითონ სტრუქტურაა კორუმპირებული, — აცხადებს მამუკა ტუსკაძე.

#### ბატონო მამუკა, ყველა კორუმპირებულია? ხომ არ დაასახელეპდით კონკრეტულად, ვის ზეა საუბარი?

 ჩინოვნიკები, რომლებიც სამივე მიმართულებით მუშაობენ, კორუმპირებულები არიან. მაგალითად, გოჩა ბაბუნაშვილი, რომელსაც კომისიის სხდომებზე საკითხები არ გააქვს, რადგან
მათთან ურთიერთობა
დაალაგა და ამიტომ საკითხებს არ წყვეტს. გოჩა ბაბუნაშვილმა პასუხის უნდა აგოს იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც მისი უმოქმედობით
(რაც გამოწვეულია კორუფციით) ზარალდებიან.. ბიზნესმენები წლობით უცდიან საკითხების
განხილვას.

#### – კონკრეტულად, რით გამოიხატება კორუმპირებულობა?

– წლობით უცდიან ბიზნესმენები ამა თუ

იმ საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას. საკრებულოს სხდომაზე გაღის მას შემდეგ, რაც ამ საკითხს მერიის ზონალური სამსახური დადებითად გადაწყვეტენ. მანამდე არქიტექტურის საქალაქო სამსახური წყვეტს საკითხის ზონალურ საბჭოზე გატანას. კორუფციის მთელი კასკადი და სემაა, რომელშიც ჩართული არიან ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური, არქიტექტურის ზონალურის აბჭო და საკრებულოს ურბანული კომისია მთლიანად.

#### – თქვენ რის საფუძველზე საუბრობთ, პირადად, თქვენ გქონდათ მათთან საქმიანი ურთიერთობა და თქვენ მიმართვას რეაგირება არ მოჰყვა?

— რა თქმა უნდა. როგორც უფლებადამცველს, კვლევა მაქვს ჩატარებული. სოციალური და სხვა საკითხებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველაზე მსხვილი სტრუქტურა თბილისის ადგილობრივ თვითმმართველობაში არის არქიტექტურის სამსახუ-



რი, საკრებულოს კომისია და ზონალური საბჭო. ეს სამსახურები ბიზნესს უნდა ავითარებდნენ, მაგრამ ბიზნესმენები წლობით დგანან რიგში, რომ მიიღონ სასურველი ნებართვა ამა თუ იმ საკითხზე.

#### ̃ – ე.ი. ბიზნესსაც აფერხებენ?

— დიახ, ბიზნესსაც აფერხებენ. კორუმპირებული იმიტომ არიან, რომ ბიზნესმენებისგან თანხის მიტანას უცლიან. ბიზნესმენი თანხას ხომ ვერ შესთავაზებს, ბიზნესმენი მექრთამე კი არ არის, რომ თანხა შესთავაზოს, საქმეს კანონიერად აკეთებს. ბიზნესი მათ ფულს არ სთავაზობს. შედეგად, ბიზნესი ფერხდება, ქვეყნისა და ქალაქის განვითარება ფერხდება, კორუფცია იზრდება, რაც ხსენებული სამსახურის ბრალია. არქიტექტურის ზონალურ საბჭოში 7 წევრია. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ შვიდივე გარეულია ამ საქმეში.

### – რა გარწმუნებთ ამაში?

– თუ ერთი ამბობს რაიმე საკითხზე დადებით პასუხს, ყველა დადებითად პასუხობს. თუ ერთი ამბობს რაიმე საკითხზე
უარყოფით პასუხს, ყველა
უარყოფითად პასუხობს. ასეთი კომუნისტური სიტუაცია,
არ ვიცი, კიდევ რომელიმე
სამსახურში თუ არის. არქიტექტურის ზონალური საბჭო კომუნისტურად იმართება. აუცილებელია, არქიტექტურის ზონალურ საბჭოზე
ყურადღება გამახვილდეს.

#### - คร อารูง ๆ ปราชิคาไรกอ?

— შეგიძლიათ მათ ჰკითხოთ, განმარტონ, რატომ წყვეტენ საკითხებს კომუნისტურად? არქიტექტურის ზონალური საბჭო არის წარმონაქმნი, რომელიც ისე

ლებულობს გადაწყვეტილებას, როგორც ინფორმაცია შედის, სავარაუდოდ, ქალაქის მერის, დავით ნარმანიასაგან.

#### – ნარმანიასაგან რატომ?

— ამას წესით დავით ნარმანია და არქიტექტურის საქალაქო სამსახურის უფროსი წიკლაური უნდა აკონტროლებდნენ. სააკაშვილის დროს კორუფცია მხოლოდ ელიტარული იყო და მაღალ ეშელონებში ცურავდნენ ფულში — მინისტრები და პირველი პირები იღებდნენ ქრთამებს და საქმეებს ისე აკეთებდნენ, დღეს ამან ქვემოთ ჩამოინაცვლა — საკრებულოს წევრებიც ფულს იღებენ და თანამშრომლებიც. ყველაზე მთავარი რგოლი ქალაქის თვითმმართველობაში ურბანისტიკაა. ისეთ საკითხებზე ამბობენ უარს, გაგიკვირდება.

#### – შეგიძლიათ, კონკრეტულად, ერთი საკითხი დაგვისახელოთ?

– გავიხსენოთ, როდესაც რეკრეაციული ზონის მოხსნა საჭირო შეიქმნა ბიძინა ივანიშვილის სახლის მიმდებარედ, როგორ ოპერატიულად მოუხსნეს იმ ადგილს რეკრეაციული ზონის სტატუსი. მიანიჭეს სხვა სტატუსი, სადაც განა შენიანება შესაძლებელი იყო, რეკრეაციულ-ლანდ შაფტური ზონის სტატუსი მიანიჭეს, ხოლო,
სადაც სახლები დგას და ხალხი ცხოვრობს ფიზიკურად, მათ ფუნქციას არ
უცვლიან. ეს ზუსტად იმიტომ ხდება,
რომ კორუფციასთან გვაქვს საქმე.

გარდა ზონალური საბჭოსი (რომელიც 7 კაცისაგან შედგება), ქალაქის არქიტექტურის სამსახურისა და ქალაქის საკრებულოს ურბანული კომისიები (რომელსაც ხელმძღვანელობს გოჩა ბაბუნაშვილი) არიან კორუფციის მამები.

#### – ძალიან დიდი ბრალდებაა.

— ამის დოკუმენტები მაქვს. აღნი შნული დოკუმენტები კომპიუტერშია. მათი დამუშავების შემდეგ, მიხვალთ იგივე დასკვნამდე, რაზეც მე ვსაუბრობ. ამოიღეთ დოკუმენტები და ნახეთ, საკრებულოს არქიტექტურის კომისიის სხდომის შედეგები როგორია? 7:0-თან. ეს რა, ჩრდილოეთ კორეაა? ასევე მინდა ვისაუბრო განაშენიანების რეგულირების გეგმაზეც, რომელიც თითქოს ზარზეიმით წარმოგვიდგინეს.

#### — განაშენიანების რეგულირების გეგმასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემაა?

— თბილისისთვის მართლა უნიკალური გეგმა იქნებოდა, რომ არა კორუფცია. მე-20 საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ, თბილისს განაშენიანების გეგმა არ ჰქონია. თბილისი ისე გახდა მილიონნახევრიანი ქალაქი, ურბანული თვალსაზრისით როგორ უნდა განვითარებულიყო, საზოგადოებამ არ იცოდა. არც ერთ ქალაქის მერს დამოუკიდებლობის პერიოდში ამაზე არ უფიქრია.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲞᲠᲐᲜᲙᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲒᲘᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ"

"უკრაინისა და საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ბევრის მცოდნე სააკაშვილი რუსეთისთვის საშიშია"

3

მარიამ მჭედლიშვილი

რუსი სატელეფონო ხულიგნები, რომელთა მტკიცებით, საქართველოს ხელისუფლება ექსპრეზიდენტ სააკაშვილის ექსტრადირებას არ აპირებს, რუსეთის სპეცსამსახურების დავალებას ასრულებენ. ამის შესახებ "ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს ყოფილი დეპუტატი, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერი მირიან მირიანაშვილი.

### მირიან მირიანაშვილი:

— პრანკერები "ვოვანი" და "ლექსუსი" უახლესი ტექნიკის გამოყენებით მუშაობენ. მათ არ უჭირთ ნებისმიერი ხმის იმიტაცია. ამ ხულიგნების მოქმედებებს თავის დროზე წამოეგნენ მაკეინი და ერდოღანი. ისინი რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობენ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან ვითომდა უკრაინელი კოლეგის სატელეფონო საუბარი სპეცოპერაცი-

### – რისი თქმა უნდათ რუსებს ამ ოპერაცი-

ით?
— იმისი, რომ საქართველოს ხელისუფლება არ აპირებს სააკაშვილის საქართველოში ექსტრადირებას.

#### — საქართველოს ხელისუფლებას მართლაც არ ეტყობა, რომ ამის სურვილი აქვს.

— ამაზე მეც მისაუბრია. საქართველოს ხელისუფლება ამისთვის ნებას არ იჩენს. ამჯე-რად ეს მსოფლიომ გაიგო. სააკაშვილის წინააღმდეგ საქმეა აღძრული. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები მოვალე არიან, ექსპრეზიდენტის გადმოცემა მოითხოვონ, მაგრამ ეს არხდება.

ადრე სააკაშვილი უკრაინის მოქალაქე იყო და უკრაინა თავის მოქალაქეს იცავდა. მას შემდეგ, რაც მას უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვეს, ქართულ მხარეს ხელ-ფეხი უნდა გახსნოდა. იგი ხან რომელ სახელმწიფოში ჩნდება, ხან — რომელში, მაგრამ ექსტრადიციის საკითხი არ



დგება. ქართული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა სახელმწიფო, მაგალითად, პოლონეთი ან ლიტვა ვალდებული იქნებოდა, ეს პრობლემა

#### – ნაცმოძრაობის აქტივისტების მტკიცებით, სააკა შვილის გადმოცემა და დაპატიმრება ხალხს ააბუნტებს.

— ეს აბსურდული განცხადებაა. სააკაშვილის რამდენიმე ფანატის გარდა, ამას არავინ გააპროტესტებდა. მოსახლეობას სამართლიანობა და მართლმსაჯულების აღსრულება უნდა. ამ აბსურდულ განცხადებებს აკეთებენ ნაცმოძრაობის ახლანდელი ლიდერები, რომლებსაც არ მოჰკლებიათ სააკაშვილის ფინანსები. "ქართულ ოცნებას" ასეთი არგუმენტები ხელს აძლევს. მას სათქმელი არაფერი აქვს.

#### სინამდვილეში რატომ არ მოითხოვენ მის ექსტრადირებას?

— ეს არ უნდათ რუსეთის სპეცსამსახურებს. სააკაშვილი დიდი ხანია, რუსეთის სპეცსამსახურებზე მუშაობს. მათ დავალებებს იგი
ასრულებდა საქართველოსა და უკრაინაში. მას
შემდეგ, რაც უკრაინის მოქალაქე აღარაა, სააკაშვილმა რუსეთისგან მოითხოვა გარანტიები. პრანკერების მონაწილეობით ჩატარდა სპეცოპერაცია. მისი მეშვეობით სააკაშვილმა და სხვებმაც
შეიტყვეს, რომ ექსპრეზიდენტს ექსტრადირება
არ ემუქრება.

### — რუსეთს სააკაშვილის ყოფნა უკრაინაში ანყობს?

— თუ სააკაშვილისთვის საქართველოს პოლიტიკური ასპარეზიც დაიხურება და უკრაინისაც, ის რუსეთს საერთოდ არ დასჭირდება. უკრაინისა და საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი უფუნქციო სააკაშვილი რუსეთისთვის საშიშია. მან ბევრი იცის. შეიძლება ასეთ მდგომარეობაში რუსეთმა თავისი აგენტი აღარ აცოცხლოს.

#### – სააკაშვილს პროამერიკელის იმიჯი აქვს..

— ეს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ მოფიქრებული ნიღაბია. თუ ვინმეს ჰგონია, რომ უკრაინის პრეზიდენტმა სააკაშვილს მოქალაქეობა ამერიკელების თანხმობის გარეშე ჩამოართვა, ძალიან ცდება. უკრაინიდან გაქცეული სააკაშვილი ამერიკაშიც იმყოფებოდა, მაგრამ იქ მას არავინ არაფერს შეჰპირებია.

#### – სააკაშვილს უკრაინაში შესვლა საკუთარი თავის გადარჩენისთვისაც სჭირდება?


— უკრაინა და საქართველო მისი საასპარეზო ადგილებია. ამჟამად რუსეთი სააკაშვილს უკრაინაში აგზავნის. ამიტომ უვლის იგი უკრაინას გარშემო და ყველა გზით ცდილობს იქ შეღწევას.

### – ამისათვის მას ციხე არ ემუქრება?

— თუ სააკაშვილი უკრაინაში შეიპარა, მას საზღვრის დარღვევის ბრალდებას წაუყენებენ. ამაზე უკრაინაში მხოლოდ ჯარიმაა დაწესებული. ქვეყნიდან მაშინვე ვერ გამოაძევებენ, იმიტომ, რომ მას გასაჩივრებული აქვს მოქალაქეობის ჩამორთმევა. საქმის განხილვამდე სააკაშვილს უკრაინას ვერ დაატოვებინებენ.

#### – საქართველო არ დაზარალდა ამ სატელეფონო ხულიგნობის, ანუ სპეცოპერაციის შედეგად?

— საქართველო გამოაჭენეს ქვეყნად, რომელიც არ მოითხოვს დამნა შავის გადმოცემას. ის, რომ სააკაშვილს მძიმე დანა შაულს კი არა, სასაცილო დარღვევებს ედავებიან, სხვა საკითხია. საქართველო მისი ექსტრადიციის არმოთხოვნით ასრულებს რუსეთის მოთხოვნას ან დავალებას. აქ გამოჩნდა საქართველოს ხელისუფლების უსუსურობა და რუსეთზე დამოკიდებულება. ხელისუფლება ამაზე კომენტარსაც კი ვერ აკეთებს. ეს კიდევ ერთი ჩაფურთხებაა საქართველოს საზოგადოების სულში.





## **ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘᲫᲔ: "ᲯᲔᲯᲔᲚᲐᲕᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲡᲪᲘᲜᲘ**|

"ადამიანი, რომელსაც მთავრობის პიარი აბარია, ამბობს იმას, რაც მუდმივად წამგებიან მდგომარეობაში აყენებს"

განათლების მინისტრის ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადებები ხშირად ეხვევა კრიტიკის ქარცეცხლში. მინისტრის ბოლო განცხადებას სკოლაში ვაშლის შეტანის თაობაზე, არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ბევრი თვლის, რომ მინისტრი საზოგადოებას დასცინის. კომბლედან ვაშლამდეო, ასე აფასებენ ჯეჯელავას მოღვაწე-

ექსპერტი, ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელი-ძე** "ახალ თაობასთან" ამ საკითხებზე საუბრობს.

– პატონო რამაზ, ძალიან ხშირად გვესმის ჯეჯელავას კრიტიკა. კომბლეთი დაიწყო და ვაშლებით ასრულებსო. თანამდებობისთვის შეუფერებელიაო და ასე შემდეგ. რას იტყვით თქვენ, რა უნდა ჯეჯელავას? რა ექსპერიმენტებს ატარებს განათლების სისტემაში?

– საინტერესოა, ეს კომპონენტები რას აძლევენ განათლების სამინისტროს იმ ფონზე, როცა გამოქვეყნდა რამდენჯერმე ინფორმაცია, რომ, ჯერ ერთი, ეროვნულ გამოცდებში გვაქვს მძიმე მაჩვენებლები სხვა პერიოდებთან შედარებით, მეორეც, ევროპული სკოლის სტანდარტებ-თან შედარებით ჩამორჩება საქართველო. ეს ყველაფერი დამაფიქრებელია. ეს მონაცემები უშუალოდ სკოლას უკავშირდება. ახალგაზრდის განათლებასა და ჩამოყალიბებაში სხვა კომპონენტებიც მონაწილეობს, მშობლებიდან დაწყებული, მაგრამ ეს ორი კომპონენტი სკოლის თავსატეხი უნდა იყოს.

– როდესაც ამდენი პრობლემაა და განათლების მინისტრს საკუთარ ინიციატივაზე თავადვე ეცინება, ეს საზოგადოების დაცინვა არ არის?

- საზოგადოების დაცინვა რატომ? თუ ვინმე ხდება ამ შემთხვევაში სასაცილო, ისევ ჯეჯელავა გამოდის. პარადოქსული ისიც არის, რომ ადამიანი, რომელიც პასუხისმგებელია მთავრობის პიარზე, ამბობს ისეთ რამეს, რაც მას მუდმივად წამგებიან მდგომარეობაში აყენებს. თავისთავად ის, რომ ახალგაზრდებს რაღაცები აჩუქო, ყურადღება გამოავლინო, ზრუნვა აჩვენო, ცუდი ნამდვილად არ არის. კომიკურია ამის მარტო ვაშლზე აგება.

რას გვიმტკიცებს განათლების მინის-



– განათლების მინისტრი საგანმანათლებლო სისტემაში შემოვიდა, როგორც მინისტრი. იქამდე მას ამ სისტემასთან კავშირი არ ჰქონია. ასეთ დროს ადამიანი აკეთებს ხოლმე იმას, რაც იცის და რასაც შეჩვეულია. ის არასამთავრობო სექტორში ძალიან წარმატებული იყო, კარგი სპიკერი იყო, მას შეეძლო, მოულოდნელი კუთხიდან ეჩვენებინა მოვლენა ადამიანებისათვის. აქაც მოულოდნელი კუთხიდან ცდილობს, წარმოაჩინოს ესა თუ ის თემა. ეს შესაძლოა საინტერესო იყოს არასამთავრობო სექტორის ჯგუფის სპიკერის მხრიდან, მაგრამ შესაძლოა შეუსაბამო აღმოჩნდეს სისტემის ხელმძღვანელთან, მინისტრთან.

– ანუ მინისტრის რანგ ში ეს ექსპერიმენტები არ არის გამართლებული?

- დიახ და აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ งชิ უზงค์ชิงจงค์ โงชิกโกป&ศักป, จึงถึงอาตาชิกป์ จูงคდა, კიდევ მეცნიერებაც აქვს და იქ საერთოდ მძიმე სურათია.

– დამთავრდა ეროვნული გამოცდები და

*მძიმე სურათია აქაც.*— სასკოლო სისტემას ის მაინც აქვს, რომ ყოველწლიურად ეს გამოცდები ტარდება და

შეგვიძლია, გავზომოთ ყოველწლიურად საგანმანათლებლო დონე ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის. ისეთ სფეროში, როგორიც მეც-ნიერებაა, ასეთი თერმომეტრი ადვილი საპოვნელი არაა. ამიტომ იქ ბევრი პროცესი დაფარულია და საზოგადოების განგაშს არ იწვევს. ჩემი აზრით კი, არანაკლებ საგანგაშოა ის მდგომარეობა, რაც მეცნიერებაშია. იმიტომ, რომ მეცნიერებაში თუ ჩავარდნა იქნა, მერე ვეღარც სკოლას ამოქაჩავ და ვერც უმაღლესი განათლების სისტემას.

– ლადო პაპავა აცხადებს, ჯეჯელავა შეუფერებელია ნებისმიერი პოლიტიკური თანამდებობისთვის, მით უმეტეს, განათლების მინისტრის რანგში საერთოდ წარმოუდგენელიაო. რამდენად წარუმატებელი მინისტრი აღმოჩნდა ჯეჯელავა?

- მე ბევრი მინისტრის ნახვა მომიწია. კომუნისტების თუ გამსახურდიას დროს, ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი ვიყავი განათლების სისტემაში და სისტემას შიგნიდან ვიცნობ. შემდეგ მარგველაშვილის

დროს, მან მრჩევლად მიმინვია გარკვეული საკითხებისა და სანიკიძემ დამტოვა მრჩევლად.

ჯეჯელავა რომ მოვიდა, ყველა მინისტრი მოსვლისას ათავისუფლებს მრჩევლებს, რომ მერე ჰქონდეს საშუალება ახლის დანი შვნის. დღეს მე განათლების სამინისტროსთან კავშირი არა მაქვს. ამიტომ არ ვიცი, შიგნით რა კეთდება და რა განზრახვებია. ძველი გამოცდილებით ერთი რამ შემიძლია ვთქვა, რომ ეს ერთერთი ყველაზე რთული სფეროა, სადაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ მართვას.

– ამით რისი თქმა გსურთ?

– მაგალითად, კომუნის-<u>ტების დროს ენუქიძე იყო პარტი-</u> ული ფუნქციონერი და დანიშნეს განათლების მინისტრად. მან მოიწვია სამინისტროს თანამშრომლები და უთხრა, მე ამ სფეროში აზრზე არა ვარ, ჩამოთვალა რამდენიმე ადამიანი, რომლებიც მოსწონდა და ენდობოდა. მოიწვია იმ ახალგაზრდების გუნდი და თქვა, ესენი რასაც მირჩევენ, მე ვიქნები თქვენი ნების გამტანი, ხოლო რა არის გასაკეთებელი, ეს თქვენ გადაწყვიტეთო.

თუკი ადამიანს პროფესიონალიზმი არ აქვს ამ სფეროში, მრჩევლები მაინც უნდა ჰყავდეს

– ანუ ჯეჯელავას მრჩევლებიც არ უვარ-

– არ ვიცი, არ უვარგა თუ თვითონ არ უნდა. მრჩევლობა იწყება პირველი პირიდან, ის უნდა იყოს რჩევის მიმღებიც და მაძიებელიც. ეს მარტო ჯეჯელავას პრობლემა არ არის, ჩვენი სამინისტროების უმეტეს ნაწილში რჩევას არ ეძებენ. ჰგონიათ, რომ იციან. ალბათ ჯეჯელავაც თვლის, რომ იცის. ღმერთმა ქნას, რომ მისი ეს პოზიცია სწორი იყოს და შემოგვთავაზოს რაღაც ისეთი, რაც აქამდე დაგროვილ პრობლემებს გადააყირავებს და გადაწყვეტამდე მიიყვანს.

– თუმცა გვესმის შეფასებები, რომ ამ ერთი წლის მანძილზე კარგი არაფერი შემოუთავაზებია და მავნე ხდება მისი მინისტრობა ამ სფეროშიო.

– მავნე არის თუ არ არის, ეს ჩემთვის ძნელი სათქმელია, მაგრამ რომ არ შემოუთავაზებია, ეს მეორე საკითხია. ისე, რას ნიშნავს, არ შემოუთავაზებია? ვაშლი ხომ შემოგვთავაზა? აი, გამოდგება თუ არა ეს ვაშლი საიმისოდ, რომ ადამ და ევას ვაშლის არ იყოს, რაღაც ახალი დაიწყოს თუ კაცობრიობის ისტორიაში არა, ქართული განათლების ისტორიაში მაინც, ამას მომავალი გვიჩვენებს.

– ანუ დაველოდოთ, რა გარდატეხას შეიტანს ვაშლი სკო-ლებში?

— ვაშლმა იმისთანა გარ-დატეხა შეიტანა კაცობრიობის ისტორიაში, ჯერ ადამ და ევას დროს, მერე მეცნიერების ისტორიაში, როცა ვაშლი ნიუტონს მოხვდა, შეიძლება ვაშლის ფაქტორი არც ისე სახუმარო აღ-

## 37577 97679 "374000 PARTE 179679 "376

დასაწყისი მე-4 გვერდზე

როგორც უძრავი ქონების მართვის სპეციალისტს, ძალიან გამიხარდა თბილისის ურბანული განვითარების გენერალური გეგმის შემუშავება. ამაში თურმე 5 მილიონი გადაიხადეს. თბილისის ურბანული განვითარების გენგეგმის შემუშავებაში არც ერთ ქართველ არქიტექტორს არ უმუშავია. გეგმის შემუშავება დაუკვეთეს არაცნობილ უცხოურ კომპანიას.

– კორუფცია ამ 5 მილიონის გადახდაშია?

-– კორუფცია 5 მლნ-ის გადახდაშიცაა, კორუფცია ისედაც არის მერიაში, მაგრამ მხოლოდ ამ 5 მლნ-ზე არ ვამახვილებ ყურადღებას (არასწორად რომ განიკარგა და კორუფციის სუნი რომ ასდის), არამედ თავად ამ 5 მლნ-ის საფასურად შემუშავებული თბილისის ურბანული განვითარების გენგეგმაა უხარისხო, თორემ შეიძლე ბა, 5 კი არა, 10 გადაეხადათ.

– წარმოდგენილ გეგმას რას უწუნებთ?

- ჯერ ერთი, ყველანაირი ვადები ამოწურულია. ხალხი წლებია უცდის გენგეგმას, ეუბნებიან, გენგეგმა მზადდება, შედის ძალაში და მოიცადეთო. სამი წელია, რაც ახალი ადგილობრივი თვითმმართველობა მოვიდა. ნარმანია ქალაქის მერის პოსტზე საქმიანობას ისე ამთავრებს, განაშენიანების რეგულირების გეგმა მიღებული არ არის. ყველგან, სადაც კი წაიღეს ეს გეგმა, ვთქვათ, სამეცნიერო წრეებში გასაცნობად, აბსოლუტურად ყველასგან უარყოფითი რეცენზია მი-

– რატომ მოხდა ეს, უცხოელებმა არ იცოდნენ თპილისის სპეციფი-

– დიახ, შეეძლოთ გენგეგმა ქართულ კომპანიებს, ქართველ ურბანისტებს შეემუშავებინათ, ბრწყინვალე სპეციალისტები გვყავს, მაგრამ არავის იყენებენ. განაშენიანების რეგულირების გეგმა ისეთი კი არ კეთდება, რომ თბილისი განვითარდება, უფრო გაუბედურდება.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– მაგალითად, თბილისში თითქოს რეკრეაციულ ზონებს ავითარებენ, მაგრამ რეალურად, ქალაქის შიგნით კი არა, მის გარეთ, რაც აბსურდია. ქალაქის გარეთ რეკრეაციული ზონები ისედაც უნდა იყოს, ამაზე ორი งจิศัก งศ์ งศ์ปฏชิศชิป. ฮิดง-

ოს. ქალაქის ცენტრში კი მშენებ ლობები საერთოდ უნდა შეწყდეს.

ქალაქის ცენტრში ახალი მშენებლობების წარმოება არ შეიძლება. ერთადერთი ნათელი წერტილია საიტი, რომელიც მათ აქვთ. ამ საიტიდან მაქვს ინფორმაცია. ანალიზს თუ გააკეთებთ, მიხვდებით, რომ ქალაქის სამსახურებში კორუფციაა.

ყველგან და ყველაფერში ჩართულია არასამთავრობო სექტორი. ამ სტრუქტურების მუშაობაში კი არა. თავიდან თითქოს ყველაფერი გასაიდუმლოებულია, თუმცა, შემდგომში ყველაფერი კომპიუტერში იტვირთება და მაინც საჯარო ხდება ყველაფერი. წინასწარ მესამე სექტორს მუშაობაში არ რთავენ, ხელი რომ კარგად მოით-

სტრუქტურა როგორ არის კორუმპირებული?

– სტრუქტურაში მომუშავე ადამიანები არიან კორუმპირებული, თო-



ვარია, მშენებლობები ქალაქში შეიზ- რემ თვით სტრუქტურა, მაგალითად, *რებს შეუძლიათ თქვან, რომ არანაირი* საკრებულო, ძალიან სწორი ორგანიზაციაა. არქიტექტურის სამსახურიც უნდა არსებობდეს, მაგრამ ზონალური საბჭო, რომლებსაც ქმნიან არქიტექტურის სამსახურისა და საკრებულოს წარმომადგენლები, არ არის სწორი ორგანიზაცია. არ შეიძლებოდა, ამ ფორმით შექმნილიყო არქიტექტურის ზო-ธิงლური บงอัสู่พ. งอิ บงอัสู่พบ อิฐาชิงพอังฮิก უნდა მონაწილეობდნენ დამოუკიდებელი ექსპერტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

– ანუ არქიტექტურის ზონალურ საბჭოში იგივე ადამიანები შედიან, რომლებიც საკრებულოსა და თბილისის არქიტექტურის სამსახურში არიან?

– დიახ. ვთქვათ, მე მინდა სადმე ხე მოვჭრა, ამ საბჭოს წევრები, არქიტექტურის სამსახურისა და საკრებულოს ურბანული დაგეგმარების კომისიის წევრები შედიან და კორუფციულ გარიგებებს აწარმოებენ.

– თქვენ ხის მოჭრის მაგალითი

მოიყვანეთ. ფულს თვითონ იმ პიროვნებისაგან ღებულობენ, ვისაც ხის მოჭრა უნდა? კორუმპირებულობა რაში გამოიხატება ამ შემთხვევაში?

გადაწყვეტილებას რომ მიიღებენ, სადმე შენობის ჩადგმის თაობაზე, იქ ხეა მოსაჭრელი თუ წყალია უვარგისი, უკვე აღარ აინტერესებთ. მშენებლობის წარმოება შეიძლება თუ არა, არავინ კითხულობს. ფულს იღებენ กิอิงฮิก, คัพอิ ิงศ ก<del>ั</del>ซูกป**ู้-**

– ბატონო მამუკა, საკრებულოს წევფული არ აუღიათ. როგორ დაუმტკი ცებთ, რომ ფული აიღეს?

– რით დავუმტკიცებ? ნახეთ, ბოლო ორ წელიწადში რამდენი საკითხი არ გაიტანეს განსახილველად იმის გამო, რომ საკრებულოს წევრებს ფული არ შესთავაზეს. რით დავუმტკიცებ და ოთო აბესაძის დაჭერით. რისთვის დაიჭირეს ოთო აბესაძე? ასეთი ოთო აბესაძე ბევრი ჰყავს "ქართული ოცნების" ხელისუფლებას სხვადასხვა ადგილებში. ოთო აბესაძე არის მტკი-

ცებულება.
— ხომ არ გაცნობიხართ იმ საკითხებს, რაზეც ბიზნესმენები თუ უბრალო მოქალაქეები რიგ ში დგანან? ან რას მოითხოვენ?

– მთავრობას ჰგონია, ინვესტიცია ისაა, მიწას რომ გაყიდის. მიწის გაყიდვა ინვესტიცია არ არის. ინვესტიცია იმ მიწაზე რაიმეს აშენება და ადამიანების დასაქმებაა. ბიზნესმენებს აინტერესებთ საქართველოში ბიზნესის კე-

თება. მოდიან და აქ პრობლემები ხვდებათ. ერთადერთი რეგისტრაციაა ადვილი. ამის იქით ყველაფერი ფულია. იმის იქით ყველაფერი დაკავშირებულია კორუფციასა და ჩრდილოვან გარიგებებთან. ამას სრული პასუხისმგებლობით და გულისტკივილით ვამბობ. ვიღაცას ბენზინგასამართი სად-

გურის გაკეთება უნდა, ვიღაცას სახლის აშენება უნდა, მაგრამ ვერ იღებს ნებართვას, ვიღაც სხვას უნდა აშენება და ამიტომ უარს ეუბნებიან.

გიგი უგულავას დანაშაული ისაა, რომ სადაც თითი დაადო, ყველგან რეკრეაციული ზონის სტატუსი მიანიჭეს. ადგილი არავის უნახავს, იქ ხალხი ცხოვრობს, სახლი უკვე გაკეთებული აქვს თუ არა, ან რა რეკრეაციულ ზონაზეა საუბარი. მოუხსნა რეკრეაციული ზონის სტატუსი იქ, სადაც არ უნდა მოეხსნა, მაგალითად, წყნეთში. ამის დოკუმენტები კომპიუტერში მაქვს. ეს ეხება ზონალურ საბჭოსაც, კორუმ პირებულები ამიტომაც არიან. ადამიანმა ერთხელ შეიტანა განცხადება, უარი უთხრეს. მეორედ – უარი უთხრეს, მესამედ, თანხმობა მისცეს, ე.ი. ჩააწყო

– ხომ არ შეგისწავლიათ, ამ სტრუქტურებში რა კადრები მუშაობენ? ძველი კადრებიც ხომ დარჩნენ?

– რასაკვირველია. საკრებულოს წევრები ახლებია, არქიტექტურის სამსახურსა და მერიის სტრუქტურებში ძველი კადრებია. პროფესიონალები არიან, მაგრამ პოლიტიკურად აქტიური ადამიანები და ცდილობენ, შეასრულონ თავისი პატრონის დავალება. არაპროფესიონალებიც ჰყავთ. ვინც პროფესიონალია, ის მოღალატეობრივად აზროვნებს, ცდილობს, თავისი ხელისუფლება მოიყვანოს. ამიტომ ზიანის მიყენებას ცდილობს, ახლები ჩვეულებრივი არაფრის მცოდნეებია. ამიტომ, საბოლოო ჯამში, არასასურველ სიტუაციას ვღებულობთ.



### ᲐᲮᲐᲚ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲖᲔ <u>ᲙᲐ</u>ᲤᲔ–ᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ Cochop უმეგესოგე

გუშინ, 14 აგვისტოს, ახალ აღმაშენებელზე მდებარე კაფე-ბარების უმეტესობა დაიკეტა.

როგორც აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ერთ-ერთი კაფეს მენეჯერმა ნინო სიხარულიძემ განაცხადა, ახალ აღმაშენებელზე პრობლემები 16 კაფეს შეექმნა და აქედან 14-ის მფლობელი უცხოელია.

მისი ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მერიიდან მიუვიდათ წერილი, რომლის თანახმადაც, აღმაშენებლის გამზირზე საფეხმავლო ზონიდან უნდა მოხდეს მაგიდებისა და სკამების აღება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაეკისრებათ ჯარიმა 10.000 ლარის ოდენო-

კაფეების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ ნებართვის აღების მოთხოვნით უკვე მიშართეს სახელმწიფოს, თუმ-

ცა პასუხი აგვიანებს, ხოლო რეალურად დაჯარიმების საფრთხის წინაშე დგანან.

– დღეიდან გვეკრძალება უკვე გარე ტერი-ტორიის გამოყენება. ჩვენ ერთი კვირის წინ მივიღეთ გაფრთხილება, რომ თუ ერთ კვირაში ნებართვა არ გვექნება, ან ჯარიმას გადავიხდით, ან დავიკეტებით. თავიდან, როდესაც მოვედით, მერიამ გვითხრა, რომ ხელს შეგვიწყობდა, თუმცა, სამწუხაროდ, ასე არ ხდება. ერთ კვირაში ფიზიკურად ვერ შევძლებდით ნებართვის აღებას. ჩვენ



გაგზავნილი გვაქვს ნებართვის შესახებ განცხადება, თუმცა გაფრთხილება მაინც მოგვივიდა. მსგავსი ტიპის პრობლემა 16 კაფეს შეექმნა, აქედან 14 მათგანს უცხოელი მფლობელი ჰყავს, რაც ეჭვებს ბადებს, რომ ეს ყველაფერი მიზანმიმართულად ხდება, – განაცხადა ნინო სიხარულიძემ.

კაფეების მფლობელები ამბობენ, რომ მერიის გადაწყვეტილება მათთვის გაუგებარია, რადგან საფეხმავლო ქუჩაზე ღია კაფეების სტუმრები უცხოელი ტურისტები არიან, რომლებსაც გუშინ დილიდან ახალ ტიფლისში თითქმის ყველა ობიექტი დახურული დახ-

საკითხზე კომენტარი გააკეთა უფლებადამცველმა ალექსანდრე ახალკაცმა, რომელიც შერჩევით სამართალზე მიუთითებს.

- საინტერესოა ის, რომ ამ 16 ბარიდან 90%-ის არის უცხოელი მეპატრონე. სავარაუდოდ, ლოგიკური დასკვნაა იმის, რომ ხდება არაპირდაპირი ზეწოლა უცხოელ ინვესტორებზე, კონკრეტულად ამ ქუჩაზე, – განაცხადა ალექსანდრე ახალკაცმა.

ბარების ამხანაგობის თავმჯდომარე, გივი დუჩიძე,

განმარტავს, რომ გაფრთხილება მხოლოდ იმ კაფებარების მეპატრონეებმა მიიღეს, რომელთაც შესაბამისი პროცედურები არ დაუწყიათ მერიაში.

– ჩვენ დაგვიბარეს მერიაში და მოგვთხოვეს ამ საქმის მოწესრიგება. შემდეგ ეს პროცედურულად უნდა მომხდარიყო შეთანხება არქიტექტურის სამსახურთან, ვიზუალზე იქნებოდა მიღებული დასტური, შემდეგ გადამისამართდებოდა ქონების მართვაში და აიღებდა იჯარას.

ვინც ეს ყველაფერი შეასრულა, ვიზუალი შეთანხმებული აქვს და ელოდება ქონების მარ-

თვის და იჯარის გაფორმებას უბრალოდ, მათ არ მიიღეს გაფრთხილება. ვინც არ შეათანხმა ვიზუ-ალი არქიტექტურის სამსახურთან, იმათ მიიღეს გაფრთხილება, – განაცხადა გივი დუჩიძემ.

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის, გოგა უკლებას განცხადებით, ახალ აღმაშენებელზე ღია კაფეების მოწეს-რიგების პროცესი მიმდინარეობს და "საგანგაშო არაფერი ხდება".

როგორც გოგა უკლებამ "ინტერპრესნიუსს" განუცხადა, ეს პროცესი დიდი ხანია დაწყებულია და მსგავსი ღონისძიება განხორციელდა შარდენზე, რკინის რიგში, ბამბის რიგში და ა.შ.

მისივე თქმით, 16 სუბიექტიდან, რომლების მიმართაც საქმის წარმოება დაიწყო, 9 უცხოეთის მოქალაქეა, 7 – საქართველოს მოქალაქე.

– შიგნით კაფეების მუშაობას არანაირი პრობლემა არ ექმნება, უბრალოდ, ღია კაფეების განთავსებასთან არის პრობლემა, რადგან ისინი უნებართვოა. ამ ლონისძიების მიზანია ახალი აღმაშენებლის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, როგორც ეს განხორციელდა შარდენზე, რკი-อีกไม ศักลุปีก, อังปีอักไม ศักลุปีก ตุง ง. ปี.

არაფერი ახალი და საგანგაშო აქ არ ხდება. სულ უცხოელები არიანო რომ თქვეს, ამ 16დან 9 ნამდვილად არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, ხოლო 7 საქართველოს მოქალაქეა. ეს არის საწყისი, მივყვებით და ყველას ერთ, კანონის ჩარჩოში მოვაქცევთ, – განაცხადა გოგა უკლებამ.

### "ՍՉԸԳՔՀԲ" ԱԹԲՅԸՀ ԱՉԸԸԸԸԸ ՄԲՐՉՀՐ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲬᲧᲕᲔ&Ს



გუშინ, 14 აგვისტოს, საბაჟო გამშვებ პუნქტში "ყაზბეგი", თანამშრომლებისა და ხალხის ევაკუაცია

ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" ფინანსთა საშინისტოროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს. როგორც უწყებაში განმარტეს, საბაჟო გამშვებმა პუნქტმა საგანგებო მდგო-

მარეობის გამო, დროებით მუშაობა შეწყვიტა.

- დარიალის ხეობაში არსებული რთული მეტეოროლოგიური ვითარებიდან გამომდინარე შექმნილი საგანგებო სიტუაციის გამო, პრობლემის აღმოფ-ხვრამდე, საბაჟო გამშვები პუნქტი "ყაზბეგი" დროებით წყვეტს მუშაობას. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში "ყაზბეგი", თანამშრომლებისა და ხალხის ევაკუაცია განხორციელდა, – აცხადებენ შემოსავლების სამსახურში.

### 3NUM@97 93W992 EKO-0978 **ᲤᲠᲐᲜ**ᲩᲐᲘᲖᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ

ვისოლმა ბერძნულ **EKO-**სგან ფრანჩაიზის უფლება მოიპოვა. ამის შესახებ ვისოლ ჯგუფის დამფუძნებელმა ექსკლუზიურად გაზეთ "ბანკები და ფინანსებთან" საუბრისას განაცხადა. შეთანხშება EKO-ს მფლობელ კომპანია "საბერძნეთის პეტროლიუმთან" მიღწეუ-

– ძალიან საინტერესო სიახლე გვაქვს ვისოლში. ამ სიახლის შესახებ დაწვრილებით ვისაუბრებთ სექტემბრის დასაწყისში, როდესაც ჩვენი უცხოელი პარტნიორები ჩამოვლენ საქართველოში. თუმცაღა ორიოდე სიტყვით თქვენ ექსკლუზიურად გეტყვით, რომ მრავალთვიანი მოლაპარაკებების შედეგად მო-ვიპოვეთ "ეკოსგან" ფრანჩაიზის უფლე-

მრავალი წლის განმავლობაში, კერძოდ კი 1996-2011 წლებში, ქართულ ბაზარზე ოპერირებდა ხავთობკომპახია "ეკო ჯორჯია", რომელიც მუდმივად იყო დაკავშირებული საწვავის ყველაზე მაღალ, გამორჩეულ ხარისხთან. ასეთი იყო საზოგადოების აღქმა ამ ბრენდის, მისი საიმიჯო პარამეტრებისა და მის მიერ რეალიზებული საწვავის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ უკვე წლებია "ეკო ჯორჯია" გავიდა საქართველოს ბაზრიდან, "ეკოს" საწვავი დღემდე ხარისხის ეტალონად არის მიჩნეული და მომხმარებელს დღემდე აქვს ამ კომპანი-



ის საწვავის მიმართ ნოსტალგია. ამასვე ადასტურებენ იმ კვლევების შედეგები, რომლებიც რამდენჯერმე ჩავატარეთ ბოლო წლების განმავლობაში.

"ეკოს" მფლობელი კომპანიაა "საბერძნეთის პეტროლიუმი". "საბერძნე-თის პეტროლიუმი" ყველაზე მსხვილი ორგანიზაციაა საბერძნეთში, რომლის მფლობელობაშია რამდენიმე თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. "საბერძნეთის პეტროლიუმი" მთელ რიგ ქვეყნებში ახდენს საკუთარი პროდუქციის ექსპორტს და უკლებლივ ყველა ბაზარზე მისი საწვავი გამოირჩევა და ხასიათდება ძალიან მაღალი ხარისხობრივი პარამეტრებით.

ფრანჩაიზის ხელშეკრულების შედეგად ჩვენ მივიღეთ უფლება, რომ პირველი პილოტური პროექტი განვახორციელოთ ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე "ვისოლის" ავტოგასამართ სადგურზე.

უახლოეს დღეებში ამ ლოკაციაზე დასრულდება სადგურის სრული რებრენდინგი და ფუნქციონირებას დაინყებს "ეკოს" ავტოგასამართი სადგური. ამ სადგურზე წარმოდგენილი იქნება "ეკოს" პროდუქტების სრული სპექტრი. ეს იქნება პილოტური პროექტი და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ჩვენი ჯგუფი "საბერძნეთის პეტროლიუმის" ხელმძღვანელებთან ერთად შეიმუშავებს სტრატეგიას საქართველოში შემდგომი ნაბიჯების შესახებ.

ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ მოვახერხეთ "ეკო ჯორჯიას" სრულფასოვანი დაბრუნება საქართველოში. დამატებითი ინფორმაცია ამ თემასთან დაკავშირებით სექტემბერში გახდება ცნობილი, – განუცხადა ბანკები და ფინანსებს "ვისოლ ჯგუფის" პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ. კომერსანტი

യാവദാ საინვესტიო კომპანია გალტ ენდ თაგარტის ინფორმაციით, ქართული კომპანიების აქციების ფასი გასულ კვირას დაეცა. ყველაზე მეტად ბირჟაზე თიბი-

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ

**კ**ომპ**უ**ნსეგსՐ

სი ბანკის ჯგუფის აქციები გაიაფდა. BGEO ჯგუფის აქციები დაიხურა 33.92 ბრიტანულ ფუნტ სტერლინ-გში, რაც 6.17%-ით ნაკლებია წინა კვირასთან შედარებით და -3.77% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 252 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 33.76 – 36.20 დიაპა-

ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 62 ათასი აქცია შეადგინა. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან დაიკლო 2.13%-ით ხოლო წინა თვესთან მოიმატა 1.91%ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.64% შეადგინა.



თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 15.60 ბრიტა ნულ ფუნტ სტერლინგში (-8.72% წინა კვირასთან შედარებით და -6.64% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 104 ათასს გადააჭარბა, GBP 15.45 – 17.05 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 31 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHĞ LN) აქციები დაიხურა 3.45 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (-3.46% წინა კვირასთან შედარებით და -5.48% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 147 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 3.32 – 3.55 დიაპაზონში. პოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 17 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.11% შეადგინა

ბიზნესმედია

### **..**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ **ᲒᲐᲖᲡᲐᲪᲐᲕᲨᲘ ᲨᲐᲞ-ᲦᲔᲜᲘᲖᲘᲡ** <u>ᲒᲣᲜᲔᲒᲠᲘᲕᲘ ᲐᲘᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲒᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ"</u>

– მინისქვეშა გაზსაცავში, რომელიც საქართველოში სამგორის სამხრეთი თაღის საბადოზე აშენდება, აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის ბუნებრივი აირი იქნება დაცული.

ბას გაასამმაგებს და GOGC-ს სარგებელს გაზრდის ბუნებრივი აირის დამუშავების, შენახვისა და ტრანსპორტირების კონტრაქტებიდან, – განაცხადა ელოშვილმა.



ამის შესახებ Trend-თან საუბრისას საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა განაცხადა. – საქართველოს ნავთობისა და

გაზის კორპორაცია (GOGC) บงอิลุคคში მიწისქვეშა გაზსაცავის აშენებას ერთ-ერთი ნავთობსაბადოს ტერიტორიაზე გეგმავს. ბუნებრივ აირს მიწის ქვეშ ნავთობის საბადოს ბუნებრივ სიღრმეში შეინახავენ. აღნიშნული პროექტი საქართველოს მთავრობისა და GOGC-თვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა

გაზსაცავის მშენებლობა ასევე შაჰ-დენიზის გეგმებთან ასოცირდება, რომლის მიხედვითაც, 2021 წლისთვის ბუნებრივი აირის მოპოვება 26.1 მილირდ კუბურ მეტრამდე უნდა გაიზ დოს. ეს კი საქართველოს გავლით ექსპორტირებული გაზის მოცულო-

მიმდინარე წლის 14 ივლისს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ გაზის მიწისქვეშა საცავის მშენებლობის მიზნით, საერთაშორისო ტენდერი გამოაცხადა. აღნიშნულთან დაკავშირებით SOCAREnergyGeorgia-ის ხელმძღვანელმა მაჰირ მამედოვმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია SOCAR ტენდერში მონაწილეობას მიიღებს.

ენერგეტიკის მინისტრის განმარტებით, მშენებლობის დაწყება 2018 წლისთვის არის დაგეგმილი, ხოლო ექსპლუატაციაში იგი სავარაუდოდ 2021 წელს შევა და მასში 210-280 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი იქნება დაცული. ამჟამად შნული როექტი და 270 მილიონ დოლარად არის შეფასე-

### **"**ᲐᲥᲡᲘᲡ ᲗᲐᲣᲔᲠᲡᲨᲘ" "ᲐᲒᲠᲝᲰᲐᲑᲘ" ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ

აქსის თაუერსში აგროჰაბის ჰიპერმარკე-

მხარეებს შორის უკვე მოეწერა ხელი მემორანდუმს, რის შედეგადაც ევროპული სტანდარტების აგროპროდუქტების ჰიპერმარკეტი 2 460 კვ.მ-ზე განთავსდება.

"აქსის თაუერსის" მშენებლობა თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე 2015 წელს "თანაინვესტირების ფონდთან" პარტნიორობით განახლდა.

კომპლექსი 41 სართულისგან შედგება. მისი სიმაღლე 147 მეტრია და მასში დეველოპმენტის 5 მიმართულება არის გაერთიანებული: საცხოვრებელი, საოფისე, 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო, კომერციული და სარეკრეაციო-გასართობი.

აგროჰაბი კი აგროპროდუქტების პირველი ქართული ჰიპერმარკეტია, რომელიც თბილისში გასულ წელს გაიხსნა.



ბიზნესმედია



### **arr-9 a7726WeW ცეც**ᲮᲚᲡᲐᲡᲠᲝᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲐᲛᲝᲘᲦᲝ



შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ლ.ა., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ปักปุกธง-ปิกธงช่าง อักงาน อักงาน อาการ อาการ

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, კალაშნიკოვის სისტემის ავტო-მატური ცეცხლსასროლი იარაღი და 27 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქარ-თველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

### 606M6906&730 84749W497



ნინოწმინდის რაიონის სოფელ კატნატუუბედური შემთხვევას 53 წლის მამაკაცი ემსხვერპლა.

სათემო რადიო "ნორის" ინფორმაციით, მამაკაცს მინდორში ყოფნის დროს ტრაქტორმა

გ.პ-მ მინდორში მუშაობის შემდეგ ტრაქ-ტორიდან 10 მეტრის მოშორებით დაიძინა, გავ-რცელებული ინფორმაციით, მან ტრაქტორი სავარაუდოდ მუშა მდგომარეობაში დატოვა, რის გამოც ის დაგორდა და მძინარე ადამიანს ზედ გადაუარა.

მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

### **ᲒᲐᲦᲓᲐᲗᲨᲘ 83 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲛᲐ** 63 ᲬᲚᲘᲡ BMᲚᲘ ᲛᲝ*Ა*ᲚᲐ



ბაღდათში 83 წლის მამაკაცმა 63 წლის

ცოლი სანადირო თოფით მოკლა, გავრცელებული ინფორშაციით, მკვლელო-

წინ კონფლიქტი უძღოდა. მკვლელობაში ეჭვმიტანილი მამაკაცი დაკავებულია. ბრალდე-ბული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

შემთხვევა 13 აგვისტოს მოხდა.

ამოძიება ოჯახური კონფლიქტის ნია დაგზე ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 11პრიმა-108-ე მუხლით)

### **ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ**



14 აგვისტოს, გამთენიისას, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, სოფელ ნაღობილევში მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს.


როგორც "ნიუპოსტს" შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამარ-თლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

### ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲦᲕᲝᲙᲐᲒᲛᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ **ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲒᲣᲠᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ**

სკანდალური აუდიოჩანაწერის გამო მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა მთავარ პროკურატურას მიმართა.

ბექა ბასილაია აცხადებს, რომ გამოძიება სამი მუხლით უნდა დაიწყოს. საუბარია საინფორმაციო სააგენტო

"სტრანა უა"-ს მიერ გავრცელებულ აუდიომასალზე, სადაც უკრაინული მედიის მტკიცებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, რუს "პრანკერს", რომელიც უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი არსენ ავაკოვი ეგონა, ტელეფონით პოროშენკოსა და კვირიკაშვილის საიდუმლო შეხვედრის დეტალები უამბო და უთხრა, რომ მიხეილ სააკაშვილის საქართველოსთვის გადმოცემა საქართველოს ხელისუფლებას არ უნდა.



### ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲫᲛᲔᲑ ᲯᲐᲤᲐᲠᲝᲕᲔᲑᲡ ᲐᲚᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲓ ᲞᲐ**ᲖᲘᲛᲠᲝᲑᲐ ᲨᲔᲣ**ᲤᲐᲠᲓᲐ



თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღების ბრალდების საქმეზე მ. და ნ. ჯ.-ებს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეუფარდა.

საქმის მასალების თანახმად, ბრალდებულებმა წინასწარი შეთანხმებით, შემდგომი გასაღების მიზნით, უკანონოდ შეიძინეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი, რაც 2017 წლის ივლისსა და აგვისტოში რამდენჯერმე გაასაღეს (5 ეპიზოდი).
სამართალდამცველებმა ბრალდებულ მ.ჯ.-ს სახოვრებელი სახლის ჩხრეკისას დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ჰეროინის შემცველი 17 ცალად დაფასოებული, სპეციფიკური სუნის

მქონე, ყავისფერი ნივთიერება, ხოლო ბრალდებულ ნ.ჯ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ჰეროინის შემცველი 16 ცალად დაფასოებული, სპეციფიკური სუნის მქონე, ყავისფერი ნივთიერება ამოიღეს.

დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიამ, ბრალდებულების მიმართ ყველაზე უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახე – პატიმრობა

ისასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა ბრალდებულთა მხრიდან მიმალვის, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და გამოძიებისათვის ხელის შეშლის საფრთხე. ბრალდებულებს ბრალად ედებათ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის შესაძლო ჩადენა, რაც სასჯელის სახით 7-დან 14 წლამდე, 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 2017 წლის 2 ოქტომბერს 15:00 საათზე გაიმართება.

### 3NᲠᲔᲑᲡ. ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ **ᲒᲐᲥᲡ**ᲘᲡ ᲛᲫᲦᲝᲚᲘ **ᲓᲐᲐᲧᲐᲩᲐᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲖᲔ ᲛᲘᲐᲑᲔᲡ. 8.5 ᲓᲐ 7.5** ᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲣᲡᲐᲯᲔᲡ

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყაჩაღობასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში ბრალდებულები ზ. ბ. და გ. ა. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნ-ქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "ე" ქვეპუნქტებით.

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 20 ნოემბერს, დაახლოებით 04:00 საათზე, ზ. ბ. და წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი გ. ა., მცხეთის რაიო-

ნის სოფელ ძეგვის მიმდებარე ტერიტორიაზე, ყაჩაღურად თავს დაესხნენ ტაქსის მძღოლს რ. გ. -ს. თავდამსხმელებმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობითა და მუქარით გასტაცეს მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა "ტოიოტა სიენტა", ფულადი თანხა და სხვადასხვა ნივთები, შემდეგ კი ძალის გამოყენებით ხეზე მიაბეს, რითაც უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა 2016 წლის 6 დეკემბერს ზ. ბ. ქალაქ ქუთაისში, ხოლო გ. ა. ლილოს

დასახლებაში დააკავეს.

მათ ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" და "გ' ქვეპუნქტებით (ყაჩაღობა ჯგუფურად, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ), 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "ე" ქვეპუნქტებით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით) წარედგინათ, ხოლო გ. ა. – ს დამატებით 179-მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი (ყაჩაღობა ჩადენილი არაერთგზის) წარედგინა. ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდათ.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ორივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად გ. ა. -ს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით და 6 თვით, ხოლო ზ. ბ. -ს 7 წლითა და 6 თვის ვადით განუსაზღვრა.

**ᲒᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲛᲐᲨᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲖᲦᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖ**ᲠᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲪᲮᲔᲓᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲒᲐᲜᲔᲡ



ბათუმში მაშველებმა ზღვიდან ახალგაზ-

რდა ქალის ცხედარი გამოიტანეს. შემთხვევა გუშინ, 14 აგვისტოს, დილით

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას გუ-

### **ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲡ**, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲒᲚᲓᲐᲜᲨᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲔᲚᲔᲥᲒᲠᲝᲡᲐᲦᲔᲜᲘᲗ ᲛᲝᲙᲚᲐ. 11 ᲬᲔᲚᲘ ᲛᲘᲔᲡᲐᲯᲐ

თბილისის საქალაქო სასამართლომ, ოჯახური დანაშაულის ჩადენისათვის, კერძოდ, მეუღლის განზრახ მკვლელობისათვის ბრალდებულის გიორგი ჯ.-ს მიმართ გამამტყუნებელი გა-ნაჩენი დაადგინა. როგორც "ინტერპრესნიუსს" თბილისის საქალაქო სასამართლოდან აცნობეს, ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად 11



წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. საქმე ეხება 2017 წლის 23 აპრილს თბი-ლისში, გლდანის მე-4 მ/რ-ში ეჭვიანობის ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, მეუღლის განზრახ მკვლელობის ფაქტს, როდესაც ბრალდებულმა ცოლი ელექტროსადენის ყელზე შემოჭერით მოკლა.

ღია სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა თავი სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. ასევე, დაცვის მხარემ უდავოდ მიიჩნია ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილი ფაქტობრი-

ვი გარემოებები.
სასამართლომ, საქმეში წარმოდგენილი მასალების შეფასებისა და მხარეთა პოზიციების გათვალისწინებით, ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში.

- აღნიშნული განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, – ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

### **"ᲙᲐ**ᲠᲜᲐᲮᲨᲘ" **ᲪᲔᲪᲮᲚᲡᲐᲡᲠᲝᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ 3**3%63%N 3C3M3KU63P



საბაჟო გამშვებ პუნქტში "კარწახი" ცეც-

ხლსასროლი იარაღის ვაზნები აღმოაჩინეს. როგორც "ინტერპრესნიუსს" ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 12 აგვისტოს, საბაჟო გამშვებ პუნქტში "კარნახი", ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოში შემომავალი თურქეთის მოქალაქის, ბ.კ-ს კუთვნილი ბარგის სკანერით დათვალიერებისას, ცეცხლსასროლი იარალის ვაზნები (30 ცალი) აღმოაჩინეს.

საქმე, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა.



### 

ცხოვრობს, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავსაც

შეშურდება. ასეთ ვითარებაში სიტუაციაზე კონტროლის შენარჩუნება მხოლოდ ტერო-

რითა და საომარი ისტერიითაა შესაძლებე-

ბაც შესაბამისად იქცევა. ის აცხადებს, რომ

ქვეყანა გარშემორტყმულია მტრული სახელ-

მწიფოებით, რომლებიც ჩრდილოეთ კორეის

წინააღმდეგ შეთქმულებებს აწყობენ. ამას

გარდა, მოსახლეობას შთააგონებენ, რომ ჩრდი-

ლოეთ კორეაში მსოფლიოში ყველაზე მაღა-

ლი ცხოვრების დონეა; ჩრდილოეთ კორეის

არმია მსოფლიოში საუკეთესოა; ჩრდილოეთ

ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელო-

აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის ურთიერთობები სულ უფრო იძაბება. დიქტატორი კიმ ჩენ ინი აცხადებს, რომ ამერიკელთა ბაზაზე სარა-კეტო დარტყმას ამზადებს. პრეზიდენტი ტრამპი თავის მხრივ არ მალავს, რომ ფხენიანის ხუშტურების მოთმენას არ აპირებს.

ექსპერტები უკვე ბირთვული ომის საფ-რთხეზე ალაპარაკდნენ. მარიფათიანი ბიზნესმენები კი ცდილობენ, ასეთ სიტუაციაშიც მოგება ნახონ. იაპონიაში ყიდიან ე.წ. მიწისქვეშა ბუნკერებს, სადაც ბირთვული დაბომბვის შემთხვევაში შესაძლებელია თავი შეაფარო

"ფოქს ნიუსზე" ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის მაიკ პომპეოს გამოს-ვლას ყველა მოუთმენლად ელოდა. ყველას აინტერესებდა, როგორ აფასებს პომპეო სიტუაციას. წამყვანმა ცსს-ის დირექტორს პირდაპირ ჰკითხა:

— ბირთვული ომი იქნება? — არა, — მოკლედ მიუგო პომპეომ. ცსს-ის შეფმა შექმნილი სიტუაციის დაწვრილებითი ანალიზი გააკეთა. მან ხაზი გაუსვა იმ უმძიმეს მდგომარეობას, რომელიც ჩრდილოეთ კორეაში შეიქმნა. ქვეყანაში შიმშილია. მოსახლეობის უმრავლესობისთვის ხორცი სანატრელი გახდა. ამა-

ვე დროს, მმართველი ელიტა ისეთ ფუფუნებაში

კორეის საქონელს ვერავინ და ვერაფერი შეედრება. ყველა, ვინც ამაში ეჭვს შეიტანს, მტრის აგენტად ცხადდება და სათანადოდ ისჯება. მასობრივმა ტერორმა განაპირობა ის, რომ

სოციოლოგიური გამოკითხვები განსაცვიფრებელ შედეგებს აჩვენებს. ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობას სჯერა, რომ მისი საქონელი საუკეთესოა, რომ მათ ქვეყანაში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონეა. ცსს-ის შეფმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ განწყობილების შესანარჩუნებლად საომარი ისტერიაა აუცილებელი. კიმ ჩენ ინი რაციონალური პოლიტიკოსია. მან ყველაფერი ზუსტად გათვალა და დადგა შოუ სახელწოდებით "ჩრდილოეთ კორეა აშშ-ის წინააღმდეგ". — ჯერჯერობით არაფერი მიუთითებს იმა-

ზე, რომ ყოველივე ბირთვულ ომში გადაიზრდება,
– ამბობს პომპეო.

ამავე დროს, ცსს-ის შეფმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ არ აპირებს, ჩრდილოეთ კორეის დიქტა-ტორის გამოხდომებს შეეგუოს. ომი გამორიცხულია, მაგრამ შეშლილი დიქტატორის მოსარჯულებლად სხვა საშუალებებიც არსებობს.

- აშშ-ს კორეის მიმართ უამრავი ბერკეტი გააჩნია. ჩვენც ამ პრობლემას გადავწყვეტთ. კიმ ჩენ ინ-საც ჭკუას ვასწავლით, — თქვა პომპეომ.



#### ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡ

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისსამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

#### <del>მ</del>კურნალოგა

- ნანა ქიბრონაშვილი ფირმა "იადიგარ დაუდის" დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოაურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზენოლით (ჯადო, თვალი, ნყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყპის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები. გარანტიით! ტელ: 555-72-64-98.
- •კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, "მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნი-
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფ-ლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსი-ნებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღ-მაშენებლის 154, "მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
  • მკურნალობა მამაკაცებისათვის გარან-
- ტირებული შედეგებით იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრო-ნიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, "მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი
- სიმაღლეში ზრდისსწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაცი-ენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმა-შენებლის 154, "მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე. ■ ალკოპოლიზმისა და ნარკომპანიისგან
- სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დრო-საც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლე-ვები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38,
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მა-

### ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲔᲥᲡᲒᲠᲔᲛᲘᲡᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ



აშშ-ის ავიაციამ ავღანეთის ქალაქ კუნარში ტერორისტების ბაზაზე საჰაერო დარტყმა განახორციელა. შედეგად ექსტრემისტების რამდენიშე ლიდერი დაიღუპა.

მათ შორისაა ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენელი ავღანეთში აბდულ რაჰმანი. ის ყველაზე შეურიგებელ და აქტიურ ტერორისტად ითვლებოდა.


ᲨᲔᲒᲐᲙᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲦᲔᲡᲒᲐᲜᲨᲘ

### **Კ**ᲐᲠᲚᲐ ᲓᲔᲚ ᲞᲝᲜ**ᲒᲔ: "ᲐᲡ**ᲐᲓᲘ ᲣᲜᲓᲐ **ᲒᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲦᲔᲡ!**"

საერთაშორისო პროკურორი კარლა დელ პონტე ცნობილია სამხედრო დანაშაულების გამოძიებით. მის მიერ ჩატარებულმა გამოძიებებმა რუანდასა და იუგოსლავიაში მსოფლიო რეზონანსი იქონია. ახლა კარლა დელ პონტე აცხადებს, რომ გაეროს მიერ სირიის გარშემო შექმნილი

კომისიიდან გადის. – უნდა შექმნილიყო საერთაშორისო ტრიბუნალი, რომელიც სირიის დიქტატორ ასადის დანაშაულობებს გამო იძიებდა! სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, – ამბობს დელ პონტე.

საერთაშორისო პროკურორი ხაზს უსვამს, რომ სირიის დიქტატორი ბოროტმოქმედია



### ᲝᲦᲔᲡᲐᲨᲘ ᲒᲔᲘ-ᲐᲦᲚᲣᲛᲘ ᲩᲐᲘᲨᲐᲚᲐ

ოდესაში ლგბტ-ს აქტივისტებმა "თანასწორობის მარშის" გამართვა სცადეს. ამან საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ლგბტ აქტივისტებს უკრაინელმა პატრიოტებმა გზა გადაუღობეს. პოლი-ციის ჩარევამ გეი-აღლუმის მონაწილენი ცემისაგან იხსნა. მათ ქალაქის ცენტრში მსვლელობის გამართვა ვეღარ მოახერხეს და დაიშალნენ

გეი-აღლუმის ზოგიერთი აგრესიული წარმომადგენელი შეეცადა, მჯდომა-რე აქცია მოეწყო. მათ განაცხადეს, რომ უკრაინაში ადამიანის უფლებები ირღვევა და ამის გამო უვადო შიმშილობას აცხადებენ.

უკრაინელ ნაციონალისტთა ჯგუფი აქციის აქტივისტებისკენ გაემართა და ისინი გაყარა.

მოამზადა ნიკა თეგზაძემ



დაღესტანში, სოფელ ოროტასთან ფედერალურ ძალებსა და პარტიზანებს შორის შეტაკება მოხდა. შედეგად დაიღუპნენ ე.წ. "ხუნხუზის" დაჯგუფების

მეთაური და მასთან დაახლოებული რამდენიმე პირი. ყველა მათგანი ძებნილი იყო. სროლისას 2 რუსი ომონელი დაიღუპა, 1 დაიჭრა.



### ᲝᲡᲕᲔᲜᲪᲘᲛᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲘ 113 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ

მსოფლიოს უხუცესი მამაკაცი ისრაელის ქალაქ ხაიფაში 113 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს. ისრაელ კრისტალი პოლონეთში 1903 წლის სექტემბერში დაიბადა. 1940 წელს ის ოსვენციმის

საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. ხოლოკოსტის დროს მან დაკარგა ცოლი და ორი შვილი, მოგვიანებით მეორედ დაოჯახდა და 1950 წელს საცხოვრებლად ისრაელში გადავიდა, სადაც წამოიწყო საქმე, რომლითაც ომამდე იყო დაკავებული – კანფეტების წარმოებით. 2016 წელს, იაპონელი იასუტარო კოიდეს გარდაცვალების შემდეგ, კრისტალი 112 წლის

2016 ნელს, იააონელი იააუტარო კორდეა გარდაცვალებია აებდეგ, კორდება ია ანაკში პლანეტის ყველაზე ხანდაზმულ მამაკაცად აღიარეს.
გინესის რეკორდების წიგნმა კრისტალი რეკორდსმენ დღეგრძელ მამაკაცად მას შემდეგ აღიარა, რაც პოლონეთში იპოვეს საბუთები, რომლებიც მის ასაკს ადასტურებდა. არქივში აღმოჩნდა საბუთი, რომელიც ადასტურებდა, რომ 1918 წელს კრისტალი ლოძში ცხოვრობდა და იმ დროს 15 წლის იყო

დღეისათვის პლანეტის უხუცეს ადამიანად 117 წლის იამაიკელი ქალბატონი ვაიოლეტ მოსს



### ᲘᲒᲐᲚᲘᲔᲚᲛᲐ ᲡᲣᲞᲔᲠᲛᲐᲠᲙᲔᲒᲘᲡ **879MUA367**



იტალიის სასამართლომ ქალაქ ოსტიის 23 წლის მცხოვრები მას შემდეგ დააპატიმრა, რაც ის სუპერმარ-

კეტში 100-გრამიანი ჰა-შიშის შეკვრით მივიდა. კარფურის მაღაზიის თანამშრომელმა პოლიცია გამოიძახა, როდესაც შენიშნა, რომ ახალგაზრდა მამაკაცმა სრულიად მოურიდებლად ბოს-ამლილო და მისი აწონა დაიწყო. დაკავების შემდეგ მან განაცხადა, რომ ჰაშიშის შეკვრა პარკში ამოთხარა და, ვინაიდან სახლში სასწორი არ ჰქონდა, აზრად მოუვიდა, სუპერმარკეტის სასწორით ესარ-

სამართალდამცავების თქმით, ეს შეკვრა 600 დოზისთვის საკმარისი იქნებოდა, ხოლო ამოღებული ნარკოტიკის სავარაუდო ღირებულება ათას ევროს შეადგენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოლუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ნბნბ ნბᲓბრმიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხ30ჩბ გოგიბ: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ. გე**ლ.: 230 62 52; 599 16 10 82



### 

ივანწმინდა. ცენტრალური 0:1 კვანტალიანი (27), 1:1 ტატანაშვილი (28), 2:1 ივანიშვილი (49) 62-ე წუთზე ფონიავამ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

ჩიხურა: მწყერა შვილი, თორ.გრიგალაშვილი, მირცხულავა, კა-შია, კაკუბავა (დობროვოლსკი 68), კორიფაძე, გორგიაშვილი (განუგრავა 61), ფონიავა (დეკანოიძე 72), ივანიშვილი, სარდალიშვილი, ტატანაშვილი

დინამო: შოვნაძე, ფარტენაძე, სუხიაშვილი, ტვილდიანი, კვირკველია, შონია, თევდორაძე (ვარშანიძე 55), ე.გრიგალაშვილი, ჩოგაძე (კეკუა 90), კვანტალიანი (ნ.დიასამიძე 70), კვასო-

განსხვავებული ამბიციების მქონე გუნდების მატჩი საინტერესო გამოდგა. ვერ ვიტყვით, რომ ზღვისპირელებს წასაგები მატჩი ჰქონდათ. გოლის გატანის პირველი რეალური შანსი ელგუჯა გრიგალაშვილს შეექმნა, თუმცა ახლო მანძილიდან კარისკენ ვერ დაარტყა, მარტივ სიტუაციაში ბურთს ფეხი ააცილა.

თუმცა, გრიგალაშვილმა მალევე კარგად ითამაშა, ბურთი მიწაზე დაუშვებლად ძლიერად დაარტყა კარისკენ, რომელიც კარის ძელს მოხვდა, დამატებაზე კი კვანტალიანმა ზუსტი დარტყმით ანგარიში გაიხსნა — 0:1.

ბათუმელთა სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, გაათამაშეს თუ არა ცენტრიდან ბურთი, ჩიხურამ ანგარიში გაათანაბრა — კორიფაძემ მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა სტუმართა საჯარიმოში, სადაც დიმიტრი ტატანაშვილი დაუხვდა — 1:1.

ტატანაშვილს კიდევ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ამჯერად შოვნაძემ აულო. საგოლე მომენტი ჩოგაძესაც ჰქონდა, რომელიც მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმცა ბურთი კარს ააცილა.

49-ე წუთზე კი, კურიოზული გოლი გავიდა — ივანიშვილმა მარჯვენა ფლანგიდან ბურთი ჩააწოდა, მაგრამ ისეთი ტრაექტორიით, რომ პირდაპირ კარში წავიდა, შოვნაძეს პოზიცია დაკარგული ჰქონდა და ბურთის მოგერიაბა ვერ მოახირსა — 2:1.

მოგერიება ვერ მოახერხა — 2:1. ამის შემდეგ ფონიავამ ვერ გაიტანა პენალტი, რომელიც მეკარემ მოიგერია, მაგრამ იქვე და ფონიავამ უკვე 5 მეტრიდან თითქმის ცარიელ კარს ააცილა.

ფონიავას ვერგამოყენებული თერთმეტმეტრიანის შემდეგ კონტრშე-ტევისას ბრწყინვალედ ითამაშა კო-რიფაძემ, მეკარესთან პირისპირ გავიდა, თუმცა მის ძლიერ დარტყმას სი-ზუსტი თააკლოა

ზუსტე დააკლდა.

74-ე წუთზე საჯარიმოს მისადგომებიდან გრიგალაშვილმა ძლიერად
დაარტყა კარისკენ, ბურთი მეკარე
მწყერაშვილს შეეხო, კარის ძელს მოხვდა და მოედნის ფარგლები დატოვა.
ეს იყო ბათუმელთა ბოლო შან-

სი. მატჩის მიწურულს ჩიხურა ფლობდა უპირატესობას, თუმცა ანგარიში არ შეცვლილა.

<u> ᲨᲣᲥᲣᲠᲐ-ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ 3:2</u>

ბათუმი. რაგბი არენა 1:0 ჩაგელიშვილი (4), 1:1 დაფე (7), 2:1 ჩადუნელი (45), 3:1 გურული (48), 3:2 დერებჩინსკი (90)

შუქურა: მელნიჩენკო, ჩადუნელი, პომაზანი, ჩაგელიშვილი (დაგარგულია 86), ჯეფინიო, კლიმიაშვილი, მარსელინიო, ა.გურული (შალამბერიძე 70), კახელიშვილი (გოგილაშვილი 79), გოგიტიძე, ჩაჩუა

კოლხეთი: სეფიაშვილი, გ.კილასონია, გოგონაია, ნონდი, კერძევაძე, კაკულია (ბახია 76), დაფე, ოტიენო, ჯანელიძე, მაჩარია (ბუხაიძე 45), ბოლქვაძე (დერებჩინსკი 69)

აუტსაიდერთა შავიზღვისპირული დერბი დაძაბული, უხვგოლიანი და ხარვეზიანი გამოდგა. მატჩის 23-ე წუთზე ბათუმის რაგბი არენაზე ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა და შეხვედრა 15 წუთით შეჩერდა.

ამ დროს ანგარიში 1:1 იყო: მე-4 წუთზე დავით ჩაგელიშვილმა გაიტანა, ხოლო მალევე არფანგ დაფემ გაათანაბრა.

ელექტროენერგიის მიწოდების შემდეგ ალექსანდრე გურულის ჩაწოდებული კუთხური გოლად გია ჩადუნელმა აქცია.

გიორგი შაშიაშვილის შეგირდებმა მეორე ტაიმიც აქტიურად და-



იწყეს და 48-ე წუთზე გატანილი მესამე გოლით მოგებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს. გურული-ჩაგელიშვილიმარსელინიო-გურულის ლამაზად გათამაშებული კომბინაცია უკანასკნელის შედეგიანი დარტყმით დასრულ-

შეხვედრის საბოლოო ანგარიში მსაჯის მიერ პირველ კომპენსირებულ წუთზე დაფიქსირდა. არფანგ დაფესა და გიორგი ჯანელიძის გათამაშებული კუთხური ალეკსანდრ დერებჩინსკიმ დაასრულა, მაგრამ სანაიას გუნდს მატჩის გადასარჩენად დრო

სატუ	ეხნი	hm	ცხh	າບວິບ:		
1.დინამო (თბ)	22	16	2	4	55-16	50
2.ტორპედო	21	13	5	3	31-14	44
3.სამტრედია	22	13	4	5	34-22	43
4.ჩიხურა	22	10	3	9	30-34	33
5.საბურთალო	22	10	2	10	31-27	32
ე.ლოკომოტივი	21	9	3	9	35-29	30
7.დინამო (ბთ)	22	7	2	13	18-28	23
3.დილა	22	5	7	10	24-33	22
9.კოლხეთი	22	4	7	11	20-38	19
10.შუქურა	22	2	5	15	19-56	11

### ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲯᲒᲣᲤᲣᲠᲘ ᲔᲒᲐᲞᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲓᲘᲐᲜ



თბილისში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ხელბურთში 19 წლამდე ასაკის ნაკრებებს შორის, ბოლოსწინა ტური დასრულდა და ბევრი რამ გამოიკვეთა.

თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით...

#### ა **ჯგუფი** <u>საფრანგეთი-შვედეთი 29:21</u>

ერიკ ქუინტინის გაწვრთნილმა საფრანგეთის ნაკრებმა შვედეთს 29:21 მოუგო და ა ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა. შეგახსენებთ: საფრანგეთი ჭაბუკთა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულია.

ფრანგები თბილისშიც ჩინებულ შთაბეჭდილებას ტოვებენ. შვედებთან მატჩში საშუალოდ 30 გოლი გაჰქონდათ და მიუხედავად იმისა, რომ სკანდინავიელებთან ამ ნიშნულს ვერ უწიეს (მხოლოდ გოლი დააკლდათ), შეიძლება ითქვას, რომ მაინც იოლად გაიმარჯვეს.

მართალია შვედეთის ნაკრებმა მეორე ტაიმი ჩინებულად დაიწყო — ჯერ ალბაკის გუნდი 5:1 გაიქცა, მაგ-რამ ფრანგების დამრიგებელმა უმალ წუთ შესვენება აიღო, სათანადო დავალებები მისცა ბიჭებს და სასურველი გარდატეხაც შეიტანა თამაშში. 41-ე წუთისთვის ფრანგები 18:15-სიგებდნენ, 46-ე წუთზე ანგარიში 22:17 იყო, ყველაზე შთამბეჭდავი უპირატესობა მსოფლიოს ჩემპიონს 55-ე წუთზე ჰქონდა, როცა 28:19 დაწინაურდა, თუმცა საბოლოოდ "მხოლოდ" 8 ბურთით გაიმარჯვა — 29:21.

### <u> ეგვიატე-გახრეინი 37:25</u>

სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, ეს მატჩი დიდი ბრძოლის მოლოდინს იძლეოდა, თუმცა ამაოდ, ეგვიპტელები ერთი თავით მაღლა იდგნენ მეტოქეზე და სრულიად დამსახურებულად 12-ბურთიანი სხვაობით მო

იგეს.
ალი რადჰის ბიჭებმა მეტოქეს წინააღმდეგობა მხოლოდ მატჩის დასაწყისში გაუწიეს, როდესაც თამაში ქულა-ქულაში მიდიოდა, მერე კი ეგვიპტემ აინყვიტა და ერთბაშად 5 ბურთით დაწინაურდა. შესვენებამდე ეგვიპტემ მონაგარს კიდევ რამდენიმე უპასუხო გოლი შემატა და გამარჯვებულის ვინაობაც მაშინ გაარკვია – 19:10, ასე მორჩა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ მოედნიდან ის ვნებათაღელვა გაქრა, გუნდები შე- დეგს ნაადრევად შეეგუვნენ. ბაჰრეინს ბოლო ტურში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ელის შვედეთთან მერვედფინალის საგზურისთვის, ხოლო ეგვიპტემ მომავალი ბატალიებისთვის ძალების დაზოგვა ამჯობინა. თამაშიც მშვიდად ჩამთავრდა — 37:25.

### <u>ᲓᲐᲜᲘᲐ-ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ 33:20</u>

სკანდინავიურ დერბიში მოულოდნელად დიდი ანგარიშით მოგებულმა დანიამ ბოლო ტურის წინ 5 ქულა დააგროვა და შეგვიძლია ჩავთვალოთ, ერთი ფეხით მერვედფინალშია. დამარცხებულ ნორვეგიას კი, დიდი ეჭვი გვაქვს, ჩემპიონატის ნაადრევად დატოვება მოუწევს.

ნორვეგი არეეეა.

ნორვეგიელებს, რომლებსაც მოგების შემთხვევაში ფლეი ოფში გასვლის ჩინებული შანსი ეძლეოდათ, მეორე ტაიმის შუაში ისე აერიათ თამაში, 8 წუთის განმავლობაში დანიის
კარის მისამართი დაკარგული ჰქონდათ. დარტყმა რაა, ამ დროის მანძილზე კარისკენაც კი არ დაურტყამთ.
უტევდნენ, მაგრამ 7-მეტრიანი საჯარიმოს ხაზთან ბურთს მეტოქეს აბარებდნენ. ნორვეგიელთა უხეში შეცდომებით კი კარგად ისარგებლეს მათმა
მეზობლებმა, ერთმანეთის მიყოლებით
იწყებდნენ სწრაფ კონტრშეტევებს და
სწორედ ის 8-წუთიანი მონაკვეთი 7:0
მოიგეს, რაც კულმინაციური გამოდგა
– ნორვეგიას ამის შემდეგ თამაშის

გადარჩენის შანსი არ მისცემია.
სათქმელია ისიც, რომ 56-ე წუთის შემდეგ მატჩში გოლი აღარ გასულა. მთელი ოთხი წუთი გუნდები ერთმანეთს უგოლოდ უტევდნენ. დანიელთა კიდევ გასაგები იყო, მაგრამ
ასეთი ინერტული ნორვეგიის ხილვა
ბევრს გაუკვირდა. არადა, დანიაზე

მეტად გამარჯვება სწორედ ნორვეგია სჭირდებოდა.

#### Ს ჯგუფი <u>ᲞოᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ-ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ 24:22</u>

პორტუგალიამ უკანასკნელი ტურის წინ პირველ ადგილზე გადაინაცვლა. რიკარდუ სანტუშის გაწვრთნილი გუნდი 7 ქულით ც ჯგუფის ლიდერია და მეორეადგილოსან კორეას ქულით უსწრებს.

მეხუთე ტურში პორტუგალიელები ბრაზილიელებს ხვდებიან და წესით და რიგით, გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეთ. შეგახსენებთ, რომ ბრაზილია და ჯგუფის ბოლოადგილოსანი არგენტინა უკვე გამოეთიშნენ მედლებისთვის ბრძოლას. აქვე გეტყვით, რომ პოლონეთი, მარცხის მიუხედავად, ფლეი-ოფშია.

მატჩის საბოლოო ანგარიში დაძაბულ თამაშზე მიუთითებს. ასეც იყო: სხვაობა 3-4 ბურთს არ ასცილებია, მაგრამ ეგაა, რომ პორტუგალიელებს წუთით არ გაუშვიათ ინიციატივა და მეტოქეს არათუ წინ გასვლის, გათანაბრების შანსიც არ მისცეს.

### <u>ᲙᲝᲠᲔᲐ-ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ 44:27</u>

არგენტინას სამხრეთ კორეასთან მატჩამდე ქულათა გრაფაში ნული ეწერა და ძნელი წარმოსადგენი იყო, მათ პირველი მოგება სწორედ აზიელებთან მოეპოვებინათ. სამხრეთამერიკელები ჩილესა და მექსიკასთან ერთად ტურნირის უსუსტეს გუნდად ითვლებიან, რომლებმაც ჯერ გამარჯვება რა არის, არ იციან და დიდი ალბათობით მსოფლიოს ჩემპიონატსაც მოუგებლად დაემშვიდობებიან.

კორეა კი საკმაოდ ყოჩალი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს და მეორე ტურში ხორვატიის ძლევით სენსაციაც შემოგვთავაზეს. მოკლედ, ამ წყვილში კორეა უდავო ფავორიტ გახლდათ და აუღელვებლად, ყოველგვარი ზედმეტი ნერვიულობის გარეშე უნდა გაეფორმებინათ მერვედფინალის საგზური.

სხვა გუნდებთან შედარებით, კორეელები ტანდაბალი მოთამაშეებით არიან დაკომპლექტებულნი და მათი მთავარი კოზირი სისწრაფეა. სწორედ ამ კომპონენტით გამოირჩნენ ისინი წინა თამაშებშიც. არგენტინელებთან შეხვედრაში ვერცხლისწყა-ლივით მოძრავმა კორეელებმა მეტოქეს თავბრუ დაახვიეს და სოლიდური სხვაობით 44:27 გაიმარჯვეს. საგულისხმოა, რომ სამხრეთ კორეამ გატანილი გოლების რაოდენობით რეკორდი დაამყარა. 44 გოლი ერთ მატჩში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე არავის გაუტანია. აქამდე ყველაზე მეტი გოლი – 42 საფრანგეთს (ბახრეინთან) და ისლანდიას (საქართველოსთან) ჰქონდათ გატანილი.

#### 

ფავორიტის სტატუსს, ცხადია, ბალკანელები ატარებდნენ. მართალია, სატურნირო ცხრილის მიხედვით ბრაზილიელები მეტოქეს ერთი ქულით ჩამორჩებოდნენ, მაგრამ კლასით, სიძლიერით და სახელბურთო ტრადიციებით ხორვატები სამხრეთ ამერიკელებს უდავოდ აღემატებიან.

მიუხედავად ამისა, ხორვატებს გაუჭირდათ და ბრაზილიელებმა პირველი 15 წუთი საკმაოზე მეტად ანერვიულეს, მანამ სანამ ევროპელები წინ 
გავიდოდნენ. ეს კი სწორედ პირველი 
ტაიმის მე-15 წუთზე მოხდა, ტაბლოზე 
ანგარიში 9:8 აციმციმდა და მას შემდეგ ბრაზილია მუდამ მდევრის როლში იმყოფებოდა. პირველი ტაიმის ბოლომდე ხორვატებმა კომფორტული 
უპირატესობა შეიქმნეს, 18:13 დაწინაურდნენ და უკვე ნათელი იყო, რომ თუ 
სასწაული არ მოხდებოდა, გამარჯვებას ხელიდან აღარ გაუშვებდნენ.

მეორე ტაიმში ხორვატებმა მეტოქე კიდევ უფრო "გაგუდეს" და ანგარიშში სხვაობას მეთოდურად ზრდიდნენ. 60 წუთის შემდეგ ტაბლოზე ანგარიში 40:24 უჩვენებდა ხორვატების სასარგებლოდ, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ბალკანელებს 5 ქულა დაუგროვდათ და ამით მერვედფინალში თამაშის უფლება გაინაღდეს.

### പ്പായാമാമ

#### 13 აგვის<sub>ს</sub>ო <u>ფეხბურთი</u> ინგ**ღისი. პხემიეხღიგა** ნიუკასლი−ტოტენჰემი .....

სატუჩნისო ცხილი:  1.მანჩესტერი 1 1 0 0 4-0 3 2.მადერსდილდი 1 1 0 0 0 2-0 3 3.სიტი 1 1 0 0 0 2-0 3 4.ტოტენმუმი 1 1 0 0 0 2-0 3 5.არსენალი 1 1 0 0 0 2-0 3 5.არსენალი 1 1 0 0 0 3-2 3 7.ევერტონი 1 1 0 0 1-0 3 8.ვესტ ბრომვიჩი 1 1 0 0 1-0 3 9.ლივერმული 1 0 1 0 0 1-0 3 9.ლივერმული 1 0 1 0 3-3 1 11.საუთმემპტონი 1 0 1 0 0-0 1 12.სუონსი 1 0 1 0 0-0 1 12.სუონსი 1 0 1 0 0-0 1 13.ლესტერი 1 0 0 1 2-3 0 14.ჩელსი 1 0 0 1 2-3 0 15.ბორნმუთი 1 0 0 1 0-1 0 15.ბორნმუთი 1 0 0 1 0-1 0 16.სტოკი 1 0 0 1 0-1 0 17.ბრაიტონი 1 0 0 1 0-1 0 17.ბრაიტონი 1 0 0 1 0-2 0 18.ნიუკასლი 1 0 0 1 0-2 0 18.ნიუკასლი 1 0 0 1 0-2 0 19.კრ.პალასი 1 0 0 1 0-2 0 19.კრ.პალასი 1 0 0 1 0-3 0 20.ვესტ ჰმი 1 0 0 1 0-3 0 20.ვესტ ჰმი 1 0 0 1 0-3 0 10.30სტ ჰმი 1 0 0 1 0-3 0 10.30სტ ჰმი 1 0 0 1 0-3 0 10.30სტ ჰმი 1 0 0 1 0-3 0 20.ვესტ ჰეი. სუპეhთასი ბარსელონა-რეალი 1 0 ბატსი-ლაციო 1 0 ბატსი-ლაციო 2:3 სატიას-ბური-ლილი 2:3 სატიას-ბური 1 0,3 0 3:0	მანჩესტერი-ვე	ესტ	<b>კ</b> ჰემ	an			. 4:0
2.ჰაღერსფილდი 1 1 0 0 3-0 3 3.სიტი 1 1 0 0 2-0 3 4.ტოტენჰემი 1 1 0 0 2-0 3 5.არსენალი 1 1 0 0 2-0 3 6.ჰარნლი 1 1 0 0 3-2 3 7.ევერტონი 1 1 0 0 3-2 3 7.ევერტონი 1 1 0 0 1-0 3 8.ვესტ ბრომვიჩი 1 1 0 0 1-0 3 9.ლივერპული 1 0 1 0 3-3 1 10.უოტფორდი 1 0 1 0 3-3 1 10.უოტფორდი 1 0 1 0 3-3 1 11.საუონები 1 0 1 0 0-0 1 12.სუონსი 1 0 1 0 0-0 1 12.სუონსი 1 0 1 0 0-0 1 13.ლესტერი 1 0 0 1 0-2 0 14.ჩელსი 1 0 0 1 0-1 0 16.სტოკი 1 0 0 1 0-1 0 16.სტოკი 1 0 0 1 0-2 0 18.ნიუკასლი 1 0 0 1 0-2 0 18.ნიუკასლი 1 0 0 1 0-2 0 19.კრ.პალასი 1 0 0 1 0-2 0 19.კრ.პალასი 1 0 0 1 0-4 0 20.ვესტ ჰემი 1 0 0 1 0-4 0 20.ვესტ ჰემი 1 0 0 1 0-3 0 20.ვესტ ჰემი 1 0 0 1 1 0-4 0 20.ვესტ ჰემი 1 0 0 1 0-1 0-1 0 3.ლენტუსი -ლაციო 1:3 2:3 2:3 2:3 2:3 2:3 2:3 2:3 2:3 2:3 2							
3.სიტი 1 1 0 0 2-0 3 4.ტოტენპემი 1 1 0 0 2-0 3 5.არსენალი 1 1 0 0 2-0 3 5.არსენალი 1 1 0 0 3-2 3 7.ევერტონი 1 1 0 0 1-0 3 8.ვესტ ბრომვიჩი 1 1 0 0 1-0 3 8.ვესტ ბრომვიჩი 1 1 0 0 1-0 3 9.ლივერპული 1 0 1 0 3-3 1 10.უოტფორდი 1 0 1 0 3-3 1 11.სუთჰემპტონი 1 0 1 0 0-0 1 12.სუონსი 1 0 1 0 0-0 1 13.ლესტური 1 0 0 1 2-3 0 14.ჩელსი 1 0 0 1 2-3 0 15.ბორნმუთი 1 0 0 1 2-3 0 15.ბორნმუთი 1 0 0 1 0-1 0 16.სტოვი 1 0 0 1 0-1 0 17.ბრაიტონი 1 0 0 1 0-2 0 18.ნიუკასლი 1 0 0 1 0-2 0 19.კრ.პალასი 1 0 0 1 0-2 0 19.კრ.პალასი 1 0 0 1 0-3 0 20.ვესტ ჰემი 1 0 0 1 0-4 0 10.ვესტ ჰემი 1 0 0 1 0-4 0 10.ვესტ ჰემი 1 0 0 1 0-3 0 20.ვესტ ჰემი 1 0 0 1 0-4 0 10.ვესტ ჰემი 1 0 0 1 0-3 0 20.ვესტ ჰემი 1 0 0 1 0-4 0 10.პანეთი. სუპეხთასი ბარსელონა-რეალი 1:3 1:3 1:3 1:3 0 საფხანგეთი. 1 იიგა საფხანგეთი. 1 იიგა საფხანგეთი. 1 იიგა სატია-პსუ				0	ō	4-0	3
4.ტოტენჰემი 1 1 0 0 2-0 3 5.არსენალი 1 1 0 0 4-3 3 6.პარნლი 1 1 0 0 4-3 3 7.ევერტონი 1 1 0 0 1-0 3 8.ვესტ ბრომვინი 1 1 0 0 1-0 3 9.ლივერპული 1 0 1 0 3-3 1 10.უოტფორდი 1 0 1 0 3-3 1 11.საუოჰემპტონი 1 0 1 0 0-0 1 12.სუონსი 1 0 1 0 0-0 1 13.ლესტერი 1 0 1 0 0-0 1 13.ლესტერი 1 0 1 0 0-0 1 13.ლესტერი 1 0 0 1 2-3 0 14.ნუფსტი 1 0 0 1 2-3 0 15.ბორნმუთი 1 0 0 1 0-1 0 15.ბორნმუთი 1 0 0 1 0-1 0 16.სტოკი 1 0 0 1 0-2 0 18.ნიუკასლი 1 0 0 1 0-2 0 18.ნიუკასლი 1 0 0 1 0-2 0 19.კრ.პალასი 1 0 0 1 0-2 0 19.კრ.პალასი 1 0 0 1 0-2 0 19.კრ.პალასი 1 0 0 1 0-4 0 19.კრ.პალასი 1 0 0 1 0-3 0 20.ვესტ ჰმი 1 0 0 1 0-4 0 10.ვესტ ჰმი 1 0 0 1 0-3 0 10.ვესტ ჰმი 1 0 0 1 0-3 0 10.ვესტ ჰინი 1 0 0 1 0-3 0 10.ვესტ ჰინი 1 0 0 1 0-3 0 20.ვესტ ჰინი 1 0 0 1 0-3 0 20.ვესტისტი 1 0 0 1 0-3 0 20.ვესტისტისტისტისტისტისტისტისტისტისტისტისტის	2.ჰადერსფილდი	1	1	0	0	3-0	3
